

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
2020 წლის
საქმიანობის ანგარიში



სარჩევი

გენერალური აუდიტორის მიმართვა	4
2020 წლის ძირითადი შედეგები.....	6
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები.....	9
1. დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება.....	10
2. აუდიტორული საქმიანობა	12
2.1 ძირითადი შედეგები.....	13
2.2 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	43
2.3 აუდიტის ხარისხის კონტროლი და უზრუნველყოფა.....	46
3. ძირითადი პარტნიორების ჩართულობა	47
3.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან	48
3.2 თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან.....	48
3.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან	49
3.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა	49
3.5 საერთაშორისო თანამშრომლობა	51
4. შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა	54
4.1 ეთიკური გარემოს გაუმჯობესება	55
4.2 შიდა ინფორმაციული სისტემები და უსაფრთხოება	55
5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.....	56
6. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა.....	61
7. სამსახურის ფინანსები	64
8. მომავლის ხედვა და არსებული გამოწვევები.....	66
დანართები	68
დანართი N1. 2020 წელს ჩატარებული აუდიტების სია	70
დანართი N2. სამართალდამცავ ორგანოებში 2020 წელს გადაგზავნილი ანგარიშების ჩამონათვალი.....	72
დანართი N3. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	74

გენერალური აუდიტორის მიმართვა

წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშს, რომელიც სამსახურის ხუთწლიანი განვითარების სტრატეგიის მესამე წლის შედეგებს მოიცავს.

2020 წელს გავრცელებულმა კორონავირუსის პანდემიამ ახალი გამოწვევები შექმნა და მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია აუდიტის სამსახურის მანდატით განსაზღვრული საქმიანობის პროცესზეც. შედეგად, შეფერხდა როგორც საჯარო უწყებებთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია, ასევე აუდიტების ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტაციაზე დროული და სრულყოფილი წვდომა. ამავდროულად, პანდემია შეეხო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებსა და მათ ოჯახებს, რამაც ასევე ნაწილობრივ შეანელა აუდიტორული პროცედურების განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ასახვა პპოვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებაზე, სამსახურმა შეძლო მოეხდინა სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება, რათა მაქსიმალურად შეერბილებინა მის წინაშე არსებული რთული გამოწვევების ეფექტი.

აუდიტის სამსახურმა გასულ წელთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით გაზარდა ნაერთი ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი და 89% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებლით, სამსახური კიდევ უფრო დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებით (PEFA) დადგენილ ინდიკატორებს.

აუდიტის სამსახურმა 2018 წლიდან დანერგა აუდიტის ახალი მიმართულება – უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი. აღნიშნული აუდიტის მიზანია საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. 2020 წელს მიმდინარეობდა აღნიშნული სახეობის ორი აუდიტი, რომელთაგან სამსახურმა ერთი აუდიტის ანგარიში უკვე გამოაქვეყნა, ხოლო მეორე დასრულების ეტაპზეა.

საანგარიშგებო პერიოდში სამსახურმა ჩაატარა 11 ეფექტიანობის აუდიტი. 2020 წელს ჩატარებულ აუდიტებში ეფექტიანობის აუდიტების წილმა 18% შეადგინა.

აუდიტის სამსახურის ძირითადი პროდუქტია აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულებით მოტანილი სარგებელი, რომელიც გამოიხატება საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასა და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნაში. 2020 წლის აუდიტების ფარგლებში გაიცა 900-მდე რეკომენდაცია. 2019 წელთან შედარებით რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 42%-დან 47%-მდე გაიზარდა.

რეკომენდაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი მართვის ეფექტიანი მექანიზმების არსებობას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივად მუშაობს ამ მიმართულებით შიდა პროცესების ეფექტიანობის ამაღლებაზე. შედეგების გაუმჯობესებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების უკეთესი მონიტორინგის მიზნით, 2019 წელს სამსახურმა შექმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. სისტემას მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში. შედეგად, სისტემა უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პროაქტიულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვას.

2020 წელს დაიწყო სისტემის საპილოტე რეჟიმში დანერგვა იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით. ასევე შემუშავდა სისტემის მოხმარების ინსტრუქცია როგორც აუდიტის სამსახურის, ისე აუდი-



ტის ობიექტის მხარისათვის. 2021-2022 წლებში აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება იქნება აღნიშნული სისტემის დანერგვა და პრაქტიკაში ამოქმედება.

რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ამ პროცესში პარლამენტის ჩართულობა. ამ მხრივ აღსანიშნავია აუდიტის ანგარიშების განხილვის პროცესი პარლამენტში. დარგობრივი უწყებების მონაწილეობით, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულმა აუდიტის ანგარიშების განმხილველმა აუდიტის ჯგუფმა 2020 წელს განიხილა 21 აუდიტის ანგარიში, მათ შორის: 11 – ფინანსური, 3 – შესაბამისობის და 7 – ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტის სამსახურთან თანამშრომლობას განაგრძობენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები. 2020 წელს მესამედ განხორციელდა მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული პროექტის შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი. ასევე, სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან ერთად სამსახური მონაწილეობდა ორ საერთაშორისო პარალელურ აუდიტში: წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) და ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის ეფექტიანობის აუდიტები.

საანგარიშგებო წელს, USAID-ის ხელშეწყობით, აუდიტის სამსახურმა აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურთან (GAO) თანამშრომლობით დაიწყო ახალი პროექტი – ეფექტიანობის აუდიტის მიგნებების გეგავლენის განსაზღვრის პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ კონტროლს ახორციელებს მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი. 2019-2020 წლებში Deloitte-ის, ხოლო უკვე 2021 წელს – PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში სამსახური იღებს უპირობო დასკვნას.

აუდიტორული საქმიანობის პარალელურად, სამსახური თავის გამოცდილებასა და რესურსს აქტიურად იყენებს საჯარო სექტორში პრევენციული მექანიზმების დანერგვის მიმართულებით, რომელსაც წარმატებით ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციისა და დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანი ფაქტორია მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. 2020 წელს წარმატებით გაგრძელდა აუდიტის სამსახურის ინიციატივით შექმნილი სტაჟირების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების მოზიდვას, მათ პროფესიულ განვითარებასა და ამ გზით სამსახურის საქმიანობის გაძლიერებას. პროგრამის ფარგლებში შერჩეული 18 აუდიტორ-სტაჟირი დასაქმდა აუდიტის სამსახურში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და ინტეგრირებას აუდიტის პროცესში. 2018 წლიდან დღემდე, სამსახურმა შეისყიდა და დანერგა უსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის არაერთი სისტემა და შეიმუშავა რიგი IT უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლებიც პასუხობენ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურ გამოწვევებს და უზრუნველყოფენ სამსახურის ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით გამართულ ფუნქციონირებას.

სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას სტრატეგიით განსაზღვრული ყველა მიზნის დროულად და ეფექტიანად მისაღწევად.

ერეკლე მეფეაბიშვილი
გენერალური აუდიტორი



2020 წლის ძირითადი შედეგები

1. დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება

- 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ კონტროლს ახორციელებს მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი. 2019-2020 წლებში Deloitte-ის, ხოლო უკვე 2021 წელს – PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში სამსახური იღებს უპირობო დასკვნას.

2. აუდიტორული საქმიანობა

- ჩატარდა 60 აუდიტი, მათ შორის 11 – ფინანსური, 37 – შესაბამისობის, 1 – უწყებათაშორისი შესაბამისობისა და 11 ეფექტიანობის აუდიტი;
- ჩატარებული 11 ფინანსური აუდიტიდან პირობითი მოსაზრება გაიცა 6 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 45% (5 მოსაზრება) იყო უარყოფითი;
- ეფექტიანობის აუდიტების წილმა მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში 18% შეადგინა;
- ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი გაიზარდა 2 პროცენტული პუნქტით და 89% შეადგინა;
- სამსახურმა ჩაატარა 1 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი – საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ფარგლებში თემატურად დაიფარა 9 საბიუჯეტო ორგანიზაცია;
- 2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მსოფლიო ბანკის (WB) პროექტის ეფექტიანობის აუდიტი;
- პოლონეთის, უკრაინის, სერბეთისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან ერთად სამსახური მონაწილეობდა 2 საერთაშორისო პარალელურ აუდიტში: წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი და ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის ეფექტიანობის აუდიტი;
- 2020 წელს დაიწყო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის¹ საპილოტე რეჟიმში დანერგვა იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით. ასევე შემუშავდა სისტემის მოხმარების ინსტრუქცია, როგორც აუდიტის სამსახურის, ისე აუდიტის ობიექტის მხარისათვის;
- სამართალდამცავ ორგანოებში გადაიგზავნა 28 აუდიტის შესაბამისი მასალა.

¹ <https://aris.sao.ge>

3. ძირითადი კარტინორების ჩართულობა

თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

- პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულმა აუდიტის ანგარიშების განხილველმა აუდიტის ჯგუფმა განიხილა 21 აუდიტის ანგარიში, მათ შორის: 11 – ფინანსური, 3 – შესაბამისობისა და 7 ეფექტიანობის აუდიტი.

ჩართულობა და გამჭვირვალობა

- 2020 წელს სამსახურის მიერ მიღებული 44 მომართვიდან, 47% გათვალისწინებულ იქნა 2020-2021 წლების აუდიტორული საქმიანობის გეგმებში;
- განახლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ვებგვერდები,² რის შედეგად კიდევ უფრო გამარტივდა გამოქვეყნებული ინფორმაციების მოძიება/ანალიზი;
- დამტკიცდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომუნიკაციის სტრატეგია.

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- USAID-ის ხელშეწყობით სამსახურმა აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურთან (GAO) თანამშრომლობით დაიწყო ახალი პროექტი, ეფექტიანობის აუდიტის მიგნებების ზეგავლენის განსაზღვრის პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით;
- სამსახურმა გაიმართა საუდის არაბეთის სამეფოს გენერალური აუდიტის სასამართლოს მიერ დაფუძნებული ფონდის – „საუდის ფონდი უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების გაუმჯობესებული შესაძლებლობები“ საგრანტო კონკურსში. მიღებული გრანტი, 100,000 აშშ დოლარის ოდენობით, 2021-2022 წლებში მოხმარდება სამსახურის IT ინფრასტრუქტურის გაძლიერებას;
- 2020 წელს სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI-ის, EUROSAI-ისა და ASOSAI-ის 20-მდე საერთაშორისო ონლაინ შეხვედრასა და ვებინარში;
- სამსახური გაწევრიანდა დიდი ბრიტანეთისა და ფინეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ინიციატივით შექმნილ EUROSAI-ის სამუშაო ჯგუფში COVID-19 პანდემიის რეაგირების აუდიტთან დაკავშირებით;
- აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების კუთხით მიმდინარეობდა პროექტები სხვადასხვა მიმართულებით, დონორი ორგანიზაციების GIZ, EU, WB, USAID მხარდაჭერით.

² <https://www.sao.ge/ka/>
<https://monitoring.sao.ge/>

4. შიდა გეარტველობა და ორგანიზაციული კულტურა

- განახლდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების აუდიტის მართვის სისტემის (AMS) სახელმძღვანელოები და სხვადასხვა სამუშაო დოკუმენტი;
- 2020 წელს სამსახურმა ჩაატარა 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნობრივი ჩარჩოს შუალედური შეფასება და დაიწყო მუშაობა სტრატეგიის განახლების მიმართულებით;
- სამსახურში შეიქმნა მუდმივმოქმედი ეთიკის კომისია, ასევე დაიწყო მუშაობა ეთიკის სახელმძღვანელოს შემუშავებაზე.

5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

- 2020 წელს შეფასების საფუძველზე დანიშნურდა 49 თანამშრომელი. თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სამსახურმა შეიმუშავა პროფესიული საჯარო მოხელის განვითარების 2020 წლის გეგმა, რაც ემსახურება თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას;
- სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიკაცია აიმაღლა სამსახურის 120-ზე მეტმა თანამშრომელმა;
- 2020 წელს წარმატებით გაგრძელდა აუდიტის სამსახურის ინიციატივით შექმნილი სტაჟირების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში შერჩეული 18 აუდიტორ-სტაჟიორი დასაქმდა აუდიტის სამსახურში;
- სამსახურის 93 თანამშრომელი ფლობს სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სერტიფიკატს, 43 თანამშრომელი – ACCA-ის, 6 თანამშრომელი – IT მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებულ, 2 თანამშრომელი – CFA-სა და CFM-ის სერტიფიკატებს;
- 2020 წელს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა 20-მდე ტრენინგკურსი, რომელსაც დაესწრო 727 მსმენელი. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა გაიარა 62-მა პირმა;
- სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, „მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული სასწავლო კურსი გაიარა მუნიციპალიტეტების 130-ზე მეტმა წარმომადგენელმა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები

მისია

დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით შევქმნათ ღირებულება და სარგებელი საზოგადოებისთვის, პარლამენტისა და მთავრობისთვის.

ხედვა

აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა კეთილსინდისიერად და ხარისხიანად.

ღირებულებები

დამოუკიდებლობა

ჩვენი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებს.

პროფესიონალიზმი

ჩვენი თანამშრომლები საქმიანობას წარმართავენ მაღალი პროფესიული სტანდარტების, კეთილსინდისიერებისა და ეთიკის შესაბამისად.

ობიექტურობა

ჩვენი საქმიანობა ემყარება სამართლიანობის, სანდოობისა და ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

გამჭვირვალობა

ჩვენ ვართ ანგარიშვალდებულნი საზოგადოების წინაშე და უზრუნველყოფთ შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული მიზნები



მიზანი 1:
დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება



მიზანი 2:
მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება



მიზანი 3:
ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება



მიზანი 4:
მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება



მიზანი 5:
თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

A decorative header consisting of ten vertical bars of equal height. Nine bars are light gray, and the seventh bar from the left is a teal color.

1.

დემოუკიდებლობისა და მენდების
გამლიერება

უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციისთვის დამოუკიდებლობა უმთავრესი ღირებულებაა, რომლის განმტკიცებაზე ზრუნვა მუდმივი პროცესია. დამოუკიდებლობის გარანტიები დიდ გავლენას ახდენს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მათ რეპუტაციასა და ნდობაზე.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონისათვის „ორგანული კანონის“ სტატუსის მიანიჭებამ კიდევ უფრო გააძლიერა სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიები და დაუახლოვა საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე, ამ მხრივ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური კონტროლის განხორციელება მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიის მიერ. შედეგად, 2019-2020 წლებში Deloitte-ის, ხოლო უკვე 2021

წელს – PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში სამსახური იღებს უპირობო დასკვნას.

დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის პარალელურად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური განაგრძობს აქტიურ კონსულტაციებს საქართველოს პარლამენტთან აუდიტორული მანდატის საერთაშორისო სტანდარტებთან შემდგომი დაახლოების მიზნით. ამ კუთხით, აღსანიშნავია, ევროკავშირის ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების (EGFA) დოკუმენტის ფარგლებში ქვეყნის მიერ გაცხადებული ვალდებულება, შემოსავლების აუდიტის მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატის გაძლიერების შესახებ.

A decorative header consisting of ten vertical bars of equal height. Nine bars are light gray, and the seventh bar from the left is a vibrant orange.

2.


ეუდითორული საქმიანობა

2.1 ძირითადი შედეგები


2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 60 აუდიტი (იხ. დანართი N1) და ჯამურად დაფარა 13.8 მლრდ ლარზე მეტი. შედეგად, 2019 წელთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი და 89% შეადგინა. ჩატარდა 11 – ფინანსური, 38 – შესაბამისობისა და 11 – ეფექტიანობის აუდიტი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 38 შესაბამისობის აუდიტიდან ერთი უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი იყო. აუდიტის აღნიშნული მიმართულება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაინერგა 2018 წელს და ამ პერიოდში ჩატარდა 3 აუდიტი. უწყებათაშორისი აუდიტის ფარგლებში თემატურად იფარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია, განსხვავებით ტრადიციული შესაბამისობის აუდიტისა, რომელიც კონცენტრირებულია ერთ უწყებაზე. აღნიშნული სახეობის აუდიტი ამცირებს ჩატარებული აუდიტების რაოდენობას, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტის შედეგად მოტანილ სარგებელსა და დაფარული ორგანიზაციების რიცხვს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე.

დიაგრამა 1. ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი (მლნ ლარი, %)



დიაგრამა 2. ჩატარებული აუდიტების რაოდენობა სახეობებისა და წლების მიხედვით³



³ ფინანსური აუდიტების რაოდენობის შემცირება გამოიწვია, ერთი მხრივ, მთავრობის სტრუქტურაში განხორციელებულმა ცვლილებებმა (სამინისტროების გაერთიანებამ), ხოლო, მეორე მხრივ, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შემთხვევაში ინდივიდუალური უწყებების ფინანსური აუდიტების ნაცვლად, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის განხორციელებამ.

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები

შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ხშირ შემთხვევაში სისტემურია და საერთოა საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობისათვის. ამასთანავე, მსგავსი ნაკლოვანებების აღმოფხვრა ზოგჯერ სცდება ინდივიდუალური უწყების უფლებამოსილებას. სწორედ ამიტომ, უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის მიზანია საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. სამსახურმა 2020 წელს ჩაატარა საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესის უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი.

ქვემოთ მოცემულია აღნიშნული აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიგნება და მათ აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები.

საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესის შესაბამისობის აუდიტი

საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესი სისტემური ტიპის ნაკლოვანებებით ხასიათდება, რაზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და კერძო აუდიტორული კომპანიების მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიშებიც მიუთითებს. კერძოდ, 2019 წელს აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ 10 სამინისტროს ფინანსურ აუდიტსა და კერძო აუდიტორული კომპანიების მიერ ჩატარებულ სახელმწიფო საწარმოების 32 ფინანსური აუდიტიდან 8-ში, პირობითი ან უარყოფითი მოსაზრების ერთ-ერთ საფუძვლად მოყვანილია ინვენტარიზაციის პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, უწყებათაშორისი აუდიტის ფარგლებში შეესწავლა აღნიშნული საკითხი.

მიგნება 1: სახელმწიფო კომპანიებში ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესზე საზედამხებდევლო კონტროლი არ არის ეფექტიანი.

რეკომენდაცია: სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების მხრიდან კომპანიებზე კონტროლის გაძლიერების, აქტივების და ვალდებულებების ეფექტიანი მართვისა და გამოყენებისათვის, მი-

ზანშეწონილია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციით, საჯარო სექტორის ერთეულებისათვის დადგინდეს ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი წესი და განისაზღვროს ზემდგომი ორგანოსათვის ინფორმაციის წარდგენის პერიოდულობა. მიზანშეწონილია, იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ფლობენ სპეციფიკურ აქტივებს, შეიმუშაონ ინვენტარიზაციის შიდა ინსტრუქციები, სადაც გაწერილი იქნება ინვენტარიზაციის ჩატარების ტექნიკური საკითხები.

მიგნება 2: ორგანიზაციების ნაწილში საინვენტარო აღწერები საერთოდ არ ტარდება, ნაწილში კი ტარდება მანუალურად და არ არის გამოყენებული ელექტრონული საშუალებები.

რეკომენდაცია: საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების, ინვენტარიზაციის პროცესის გამარტივების, შრომითი დანახარჯის, შეცდომის ან თალღითობით გამოწვეული უზუსტობის რისკის შესამცირებლად, მიზანშეწონილია ფინანსთა სამინისტრომ საჯარო სექტორში დანერგოს საინვენტარო აღწერის ელექტრონული საშუალებები.

მიგნება 3: ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციისას არ ხორციელდება ანაზღაურების შესაძლებლობისა და ზუსტი ნაშთის დადგენა.

რეკომენდაცია: ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი წარდგენისა და დებიტორული დავალიანებების ანაზღაურების პროცესის დროულად წარმართვის მიზნით, ყოველი საანგარიშგებო წლის დასრულებისას, ორგანიზაციებმა მოქმედი კანონმდებლობის და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შეაფასონ აქტივების ამოღების და ვალდებულებების დაფარვის ალბათობა და იმსჯელონ ჩამოწერის ან ფინანსურ ანგარიშგებაში მათი ასახვის შესახებ.

მიგნება 4: საბიუჯეტო ორგანიზაციებში ინვენტარიზაციის პროცესში ნორმატიული დოკუმენტით დადგენილი ფორმები ვერ პასუხობს ინვენტარიზაციით მისაღწევ მთავარ მიზნებს, კერძოდ, ვერ უზრუნველყოფს აქტივების მდგომარეობის, გამოყენების, შენახვისა და გაუფასურების საკითხების შეფასებას, დოკუმენტირებას და საჭიროებს დახვეწას.



რეკომენდაცია: საბიუჯეტო ორგანიზაციებში ინვენტარიზაციის პროცესის გამარტივებისა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ განაახლოს შესაბამისი ნორმატიული აქტები, მათ შორის, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების საინვენტარიზაციო აღწერის და ჩამოწერის ფორმები.

მიგნება 5: ორგანიზაციებში სათანადოდ არ ხორციელდება გამოუყენებელი და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება და ზემდგომ ორგანოსთან ერთად შემდგომი განკარგვის ღონისძიებების გატარება, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს მისაღებ შემოსავლებზე.

რეკომენდაცია: ორგანიზაციებმა, მათ მფლობელობაში არსებული არაფინანსური აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, უზრუნველყონ გამოუყენებელი და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება და ზემდგომ ორგანოსთან ერთად იმსჯელონ მათი შემდგომი განკარგვის (გაყიდვა, გადაცემა, ჩამოწერა) ღონისძიებების შესახებ.

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგები

ფინანსური აუდიტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს და აფასებს საჯარო დაწესებულების ანგარიშსა და ანგარიშგებას, ასევე შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციონირებას. აუდიტის შედეგების საფუძველზე სამსახური გასცემს დასკვნას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეზე.

შესაბამისობის აუდიტის მიზანია დაადგინოს აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო მოთხოვნებთან და ორგანიზაციულ პოლიტიკასთან მიმართებით.

2020 წელს აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 11 ფინანსური და 37 შესაბამისობის აუდიტი, რაც ამ წელს განხორციელებული აუდიტების საერთო რაოდენობის 80%-ს შეადგენს. ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ჯამურმა მოცულობამ 35 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული, ძირითადად, არის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი, არაეკონომიური და არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევები და არ მოიცავს აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებებით იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს.

დარღვევის კატეგორია

შესყიდვების მართვა⁴

10,045 ათასი ლ

აქტივების მართვა⁵

10,521 ათასი ლ

საბიუჯეტო რესურსების მართვა⁶

14,411 ათასი ლ

სულ: 34,978 ათასი ლ

⁴ მომწოდებლისათვის საჭარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს დაუკისრებლობა; მომწოდებლის მიერ საჭარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობა; დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული სამუშაოები; მომწოდებლის მიერ შეუსრულებელი ან წაწილობრივ დასრულებული სამუშაოები; სატენდერო დოკუმენტაციაში შემზღუდავი პირობების არსებობის შედეგად არაეკონომიურად გახარჯული თანხები.

⁵ იჯარით გაცემულ სახელმწიფო ქონებაზე გადაუხდელი საიჯარო ქირა; ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები; სახელმწიფო ქონების პრივატიზება საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად; საიჯარო ქირის გარეშე სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონება.


⁶ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე საბაზრო ღირებულებაზე მეტი ოდენობით თანხების ანაზღაურება; შესყიდული საქონლის/მომსახურების გამოუყენებლობა; საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ განეული ხარჯები.

აუდიტის სამსახურმა გააანალიზა გასული წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები და გამოკვეთა ისეთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რომლებიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ფინანსური აუდიტის შედეგები


საჯარო სექტორში ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ამ სფეროში არსებულ სისტემურ გამოწვევებზე მიუთითებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტებში გაცემული მოსაზრებების⁷ სტატისტიკა, რომელიც აფასებს საჯარო უწყების მიერ წარმოებული ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეს. 2020 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული 11 ფინანსური აუდიტიდან, პირობითი მოსაზრება გაიცა 6 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 45% (5 მოსაზრება) იყო უარყოფითი.

დიაგრამა 3. 2020 წელს ჩატარებული 11 ფინანსური აუდიტის განაწილება გაცემული მოსაზრების ტიპების მიხედვით



ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით 2018-2020 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 52 აუდიტიდან, 51-ში გაცემულია პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება. მხოლოდ 1 აუდიტის შემთხვევაში გამოითქვა უპირობო მოსაზრება, ანუ აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები.

დიაგრამა 4. 2018-2020 წლებში ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების სტატისტიკა



საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტია სახელმწიფო სახსრების მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნით, 2009 წლიდან დაიწყო საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) სრულად დანერგვას 2020

⁷ ფინანსური აუდიტში გამოთქვამენ ოთხი ტიპის მოსაზრებას:

- უპირობო მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები;
- პირობითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი;
- უარყოფითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითიცაა და ყოვლისმომცველიც;
- უარი მოსაზრების გამოთქმაზე – აუდიტორებს არ შეუძლიათ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რომელთაც დაეყრდნობა მათი მოსაზრება.

წლისათვის. მიუხედავად რეფორმის ფარგლებში განხორციელებული მრავალი აქტივობისა, საბუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით ისევ შეინიშნება სისტემური ხარვეზები. არსებული ნაკლოვანებების მთავარი გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია:

- ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ნაკლებად პრიორიტეტულია საჯარო სექტორში;
- საჯარო სექტორისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის, აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიმართულებით;
- აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან.

აუდიტის ანგარიშებში წარმოდგენილია ხარისხობრივად და რაოდენობრივად არსებითი უზუსტობები. გამოვლენილი დარღვევები შეიძლება დაჯგუფდეს 4 სისტემურ საკითხად:

- აქტივების მართვა;
- მოთხოვნები და ვალდებულებები;
- აღრიცხვა-ანგარიშგება;
- ზოგადი კონტროლის მექანიზმები.

აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში აქტივების მართვის კუთხით გამოვლენილი ნაკლოვანებების მაგალითებია:

- ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხავი ან ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული აქტივები;
- აქტივები, რომლებსაც არ ფლობს ან არ განკარგავს ორგანიზაცია, გამოუსადეგარია მოხმარებისთვის და აღურიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში;
- აქტივები, რომლებიც აღურიცხულია არასწორი კლასიფიკაციით ან არასწორი ღირებულებით;
- ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხულია 16.5 მლნ ლარის ღირებულების საცხოვრებელი სახლები, რომლებზეც უწყება ფაქტობრივ კონტროლს არ ფლობს და საკუთრების უფლება რეგისტრირებულია დევნილ და ეკომიგრანტ ბენეფიციარებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

არ არის შეფასებული და აღურიცხული ბალანსში შესაბამის ანგარიშებზე სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სხვადასხვა დროს სარგებლობაში გადაცემული და რეგისტრირებული ქონება (მიწა – 335 ათასი კვ.მ და შენობა-ნაგებობები – 2,833 კვ.მ). ასევე, არ არის შეფასებული და აღურიცხული სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლის შენობა, რომელიც სსიპ-ს გადაეცა 1988 წელს და 2007 წლიდან მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და სსიპ – დადიანების სასახლეა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის შენობა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღურიცხული მის შვილობილ შპს-ებში განხორციელებული ქონებრივი შენატანები, ჯამურად, 192 მლნ ლარის ოდენობით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროში რიგ შემთხვევებში პირველად დოკუმენტაციაში მითითებული და ბუღალტრულ ჩანაწერებში აღურიცხული აქტივის ღირებულებები განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, შპს „საქართველოს მელიორაციიდან“ მიღებული ინ-

ფორმაციით, კომპანიის კაპიტალში განხორციელებული შენატანები შეადგენს 899.8 მლნ ლარს, რაც 45.7 მლნ ლარით ნაკლებია სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხასთან შედარებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროში ნაშთად ირიცხება 3.1 მლნ ლარის ღირებულების ქონება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების ბალანსზე აღრიცხულია შენობა-ნაგებობები, მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობები, ღირებულებით – 10 მლნ ლარი, რომლებიც არ არის მათ ფაქტობრივ სარგებლობაში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროში ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს. მაგალითად, ბალანსიდან არ არის ჩამოწერილი საბინაო ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებით სამხედრო მოსამსახურეების საკუთრებაშია; ასევე ბალანსზე ასახულია ისეთი მიწები, რომლებსაც სამინისტრო არ ფლობს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2019 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

ფინანსურ ანგარიშგებაში 1,849 ერთეული სასოფლო-სამეურნეო/არასასოფლო-სამეურნეო დაწესებულების მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის აღურიცხველობის შედეგად, არაფინანსური აქტივების ნაშთი არანაკლებ 449 მლნ ლარით ნაკლები ოდენობით არის წარმოდგენილი.

თბილისის მერიის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფინანსური აუდიტი

მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესყიდული 30-ზე მეტი დასახელების ნერგი, ჭამური ღირებულებით – 4.4 მლნ ლარი, აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, თუმცა აღრიცხულია როგორც ხარჯი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2019 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ჭამური ნაშთი არასწორადაა შემცირებული 1.6 მლნ ლარით, ხოლო წმინდა ღირებულების ნაშთი 334 ათასი ლარით ნაკლები ოდენობითაა წარმოდგენილი.

მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები მოიცავს ისეთი ტიპის დარღვევებს, როგორებიცაა:

- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს;
- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც აღრიცხულია არასწორი კლასიფიკაციით ან არასწორი ღირებულებით;
- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა არსებობასა და სისწორეზე რწმუნება ვერ იქნა მიღებული.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროში ვერ დადასტურდა 30 მლნ ლარის დებიტორული დავალიანების არსებობა და სისწორე. ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაში აღ-

რიცხულია 2004-2010 წლებში წარმოქმნილი 4.4 მლნ ლარის კრედიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო არ ფლობს ან არ არის იდენტიფიცირებადი კონკრეტული კრედიტორების დონეზე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

საავტომობილო გზების დეპარტამენტს კრედიტორულ დავალიანებებში აღრიცხული აქვს 5.9 მლნ ლარის მოცულობის ისეთი ვადაგადაცილებული ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია 2004-2015 წლებში და მათზე 2019 წელს ბრუნვა არ განხორციელებულა. წარმოშობის თარიღის გათვალისწინებით, დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხანდაზმულია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 2004-2009 წლებში სხვადასხვა იურიდიულ პირზე გაცემული სესხების შედეგად წარმოქმნილი 11.2 მლნ ლარის ისეთი დებიტორული დავალიანებები, რომელთა ამოღების ალბათობა მცირეა. ასევე, სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 1996-2009 წლებში წარმოშობილი და ლიკვიდირებული ორგანიზაციების ბალანსებიდან გადმოსული ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები – 5.5 მლნ ლარის ოდენობით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანებები, შესაბამისად, 1.7 მლნ ლარისა და 2.4 მლნ ლარის ოდენობით, დებიტორის ლიკვიდაციისა და ხანდაზმულობის გათვალისწინებით, ექვემდებარება ბალანსიდან ჩამოწმას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს საგადასახადო აღრიცხვის ბარათებზე ირიცხება ძველი პერიოდიდან მომდინარე გაურკვეველი ნაშთები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვერ მიიღო რწმუნება ბალანსზე არსებული 4.7 მლნ ლარის საგადასახადო მოთხოვნებისა და 818 ათასი ლარის საგადასახადო ვალდებულებების სისრულესა და სიზუსტეზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული მთლიანი დებიტორული დავალიანების, დაახლოებით, 55% (თანხით – 239 მლნ ლარი) ისეთი დავალიანებებია, რომლებზეც მათი წარმოქმნიდან (1996-2010 წლები) არ განხორციელებულა ოპერაციები. შესაბამისად, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, მათი დაფარვის ალბათობა მცირეა.

აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს, რაც, ძირითადად, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სამინისტროების უმრავლესობაში არ არის შემუშავებული და დანერგილი აღრიცხვის ინსტრუქციით მოთხოვნილი სააღრიცხვო პოლიტიკა. ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების შესყიდვა და მათი სწორი მოხმარება (რადგან ზოგიერთ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აღრიცხვა წარმოებს MS Excel-ის საშუალებით). ეს უკანასკნელი იწვევს მთელ რიგ უზუსტობას აქტივებზე დარიცხული ცვთის გაანგარიშებაში, ნაშთებისა და ოპერაციების არასწორ კლასიფიკაციასა და/ან დროში გამიჯვნაში და უზუსტობებს – სააღრიცხვო მონაცემებში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, სამინისტროს მიერ არასრულადაა ელიმინირებული სისტემაში შემავალ ერთეულებს შორის ოპერაციები. კერძოდ, შიდა ჯგუფური ოპერაციების თანხა შეადგენდა 101.7 მლნ ლარს, საიდანაც ელიმინირებულია მხოლოდ 62.9 მლნ ლარი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას არასრულად არის ელიმინირებული კონტროლირებად ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციებით წარმოქმნილი შემოსავლები და ხარჯები. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია შემოსავალი და ხარჯი – 25.4 მლნ ლარის ოდენობით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ყველა კონტროლირებად ერთეულს, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.

ასევე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული ინფორმაცია სასამართლოში მიმდინარე დავების შესახებ, რომელთა სავარაუდო თანხა შეადგენს 16.5 მლნ ლარს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლი გაზრდილად არის წარმოდგენილი 2.3 მლნ ლარის ოდენობით. ასევე, სამინისტროს სისტემაში ბალანსზე რიცხულ სპეციფიკური დანიშნულების

აქტივებს ცვეთა არ ერიცხება იმის გამო, რომ მარეგულირებელი ნორმებით და სამინისტროს ინიციატივით ამორტიზაციის კოეფიციენტი არ არის დადგენილი. აღნიშნული საკითხი დამახასიათებელი პრობლემაა ძალოვანი უწყებებისთვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს მიერ თანხობრივად აღრიცხულია ისეთი აქტივები, რომლებიც განბაჟებული არ არის, ხოლო ქვედანაყოფები ასეთ აქტივებს აღრიცხავენ მხოლოდ რაოდენობრივად. მაგალითად, 2019 წელს 3.7 მლნ ლარის ღირებულების განუბაჟებელი აქტივები თანხობრივად აღრიცხული არ არის.

ასევე, სამხედრო სისტემებს დაერიცხა 1.9 მლნ ლარის ოდენობით ცვეთა, თუმცა სამინისტროს არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული აღნიშნული კატეგორიის ქონებაზე ცვეთის ნორმა.

ზოგადი კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში მნიშვნელოვანი ხარვეზებია იდენტიფიცირებული ეფექტიანი კონტროლის გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით. კერძოდ, გამოვლენილია ისეთი სისტემური ნაკლოვანებები, როგორებიცაა:

- დეტალური პროცესების და პროცედურების არარსებობა;
- IT და ეფექტიანი მონიტორინგის სისტემების არქონა ან/და გაუმართაობა;
- ხარვეზები ფინანსური ოპერაციების სათანადო დოკუმენტირებასა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის საწყობსა და სხვა დანაყოფებზე, სადაც მიმდინარეობს ფასეულობების მიღება, შენახვა და განაწილება, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ არის



გაფორმებული ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე, რაც წარმოშობს აქტივების დაცულობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ასევე, სამინისტროში სრულყოფილად არ ფუნქციონირებს შიდა აუდიტის სამსახური.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არ არის ფორმალიზებული რისკების შეფასების საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებების შერჩევის წესი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს სახელმწიფო რეზერვის სისტემაში დასაგროვებელ მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით არ არის განსაზღვრული ნომენკლატურა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს არ აქვს შემუშავებული კონტროლის მექანიზმები შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით. ასევე სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ არ არის შემუშავებული წარმოების პროცესების სტრატეგია, რომლის მიხედვით უნდა შეფასდეს შეკვეთების პრიორიტეტულობა და განისაზღვროს შესრულების ვადები.

შესაბამისობის აუდიტის შედეგები

2020 წელს ჩატარებული შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები შესაძლებელია დაჯგუფდეს 4 ძირითადი სისტემური მიმართულებით:

შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

შესყიდვების მართვის პროცესში ნაკლოვანებები ვლინდება შესყიდვების თითქმის ყველა ეტაპზე და მოიცავს ხარვეზებს როგორც საწყის – საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბაზრის კვლევის, ასევე სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპებზე. აღნიშნული ნაკლოვანებები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური, არაპროდუქტიული და არაეფექტიანი განკარგვის რისკებს.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისობის აუდიტი

შესასყიდი მედიკამენტების მოცულობის განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული ბენეფიციართა მიმართვიანობა და შეძენილი მედიკამენტების რაოდენობა მაღალი იყო მის ხარჯვასთან შედარებით. აღნიშნულმა გამოიწვია არაოპტიმალური მარაგების შექმნა და გაზარდა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკი. 2018 წლის ბოლოს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ნაშთად ერიცხებოდა 5.6 მლნ ლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქტი. პროგრამის ამოქმედებისას განხორციელებული საკომუნიკაციო აქტივობები ნაკლებად იყო კონცენტრირებული სამიზნე ჯგუფების მოზიდვისკენ და არ იყო ეფექტიანი საშუალება ბენეფიციართა ინფორმირებულობისა და პროგრამაში ჩართვისთვის. შედეგად, დაბალი იყო მედიკამენტებზე მიმართვიანობა და პროგრამის ფაქტობრივ მოსარგებლეთა რაოდენობამ პოტენციურ ბენეფიციართა მხოლოდ 9% შეადგინა.

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ შესაბამისობის აუდიტი

კლინიკის დირექტორმა, როგორც სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, 12 შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, არ მიმართა თვითაცილებას და მონაწილეობა მიიღო საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვასა და შერჩე-

ვა-შეფასების პროცესში. მათ შორის, ოთხ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდნენ ისეთი კომპანიები, რომელთა ღირებულებებსა და კლინიკის ღირებულებებს შორის არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი.

ა(ა)იპ – საქართველოს ჯიდაობის ეროვნული ფედერაციის 2017-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ფედერაციის მიერ სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა რიგ შემთხვევებში ხდებოდა ბაზრის კვლევის და შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/შეფასების გარეშე. ხშირად შეკრებებში მონაწილე სპორტსმენების მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული არ არის.

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი

კომპანიამ ბაზრის კვლევის გარეშე მიმწოდებელთან გააფორმა 122.6 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება, სადაც არ იყო განსაზღვრული რამდენიმე მნიშვნელოვანი მომსახურების დეტალური სპეციფიკაცია. შესაბამისად, კომპანია მომსახურების მიღება-ჩაბარების ეტაპზე მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა მიღებული მომსახურების სისრულესა და ხარისხზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვერ შეძლო მოეპოვებინა მტკიცებულებები განუღიხარებელი ხარჯების ეკონომიურობასთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების შესაბამისობის აუდიტი

ქ. თბილისის მერიის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვისას, სატენდერო დოკუმენტაციაში კონკრეტული მარკისა და მოდელის სპეციფიკაციების უცვლელად მითითების გამო, შეიზღუდა ტენდერში მონაწილეობის მსურველ პრეტენდენტთა რაოდენობა. ავტომობილების შესყიდვისას სხვა ალტერნატივებისა და შესაღარიის დაშვებების პირობებში, შესაძლებელი

იქნებოდა მსგავსი ფუნქციებისა და მონაცემების მქონე ავტომობილების ნაკლებ ფასად შესყიდვა.

ა(ა)იპ – თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

თბილისის განვითარების ფონდის მიერ შემუშავებული კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს მიმწოდებლისთვის თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკების გამოვლენას. ორგანიზაციამ 2018-2019 წლებში 82.7 მლნ ლარის ღირებულების სამუშაოები აანაზღაურა ისეთი ექსპერტიზის აქტების საფუძველზე, სადაც სათანადოდ არ იყო შესწავლილი შემსრულებლების ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის „კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტისთვის“ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შესაბამისობის აუდიტი

„კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტისთვის“ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან 1.1 მლნ ლარი გახარჯულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების უგულებელყოფით. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, რიგ შემთხვევებში, ვერ იქნა უზრუნველყოფილი ბაზრის კვლევის ჩატარება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და მომსახურების ტენდერის საშუალებით შესყიდვა, რითაც მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების პრიორიტეტისათვის“ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შესაბამისობის აუდიტი

ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პრო-



ცესში მოქმედი რეგულაციების გაუთვალისწინებლობამ, ბაზრის კვლევის ჩაუტარებლობის პირობებში, განაპირობა 1.2 მლნ ლარის ღირებულების შესყიდვებში კონკურენციის შეზღუდვა. ამასთანავე, სამუშაოს ფაქტობრივად შესრულების დოკუმენტურად დადასტურების გარეშე მიმწოდებელს აუნაზღაურდა 310.2 ათასი ლარი, ხოლო მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებულ საბაზრო ფასებთან შედარებით, მიმწოდებელზე გადახდილია არანაკლებ 41.7 ათასი ლარით მეტი.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა არ ჩაატარა ბაზრის კვლევა და 261.6 ათასი ლარის სანავი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შეუსაბამოდ, გაზრდილი ღირებულებით. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი ფასი, უმრავლეს შემთხვევაში, მეტი იყო ვიდრე ბენზინგასამართი კომპანიების მიერ სხვა მუნიციპალიტეტისათვის შეთავაზებული ფასები.

ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტში გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა 15 შესყიდვა, საერთო ღირებულებით – 2.4 მლნ ლარი, მათ შორის, 6 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულია სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა ვერც ერთი პროექტი ვერ მიიღო დაგეგმილ ვადაში და პროექტები ჩაიბარა მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებით, 32-დან 203 დღემდე დაგვიანებით.

გესტაფონის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. სამუშაოების უმეტესობა, კერძოდ, 6.3 მლნ ლარის პრო-

ექტები, განსაზღვრულ ვადებში არ დასრულდა, ხოლო 3.2 მლნ ლარის პროექტები შესრულებულია უხარისხოდ. გარდა ამისა, ზოგიერთი პროექტის განხორციელება გონივრულ ვადაში არ დაწყებულია, ასევე სრულად არ არის გამოყენებული სხვადასხვა დროს შეძენილი აქტივები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2018-2019 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გაფორმებული 141 ხელშეკრულებიდან, მიწოდების ვადები დაირღვა 52 ხელშეკრულების შემთხვევაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა შესყიდვის პროცესი აწარმოა და ხელშეკრულების პირობები განსაზღვრა არასათანადოდ, რამაც ვერ უზრუნველყო მნიშვნელოვანი პარამეტრის – მიწოდების ვადების დარღვევის პრევენცია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

გარდაბნის მუნიციპალიტეტმა ოთხი სოფლის წყალმომარაგების სამუშაოები აწარმოა უხარისხო პროექტით. შედეგად, 2017 წელს დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტი 7 თვეში დასრულების ნაცვლად, გაჭიანურდა 2 წლითა და 6 თვით. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა ამ პროექტზე დახარჯა 7.9 მლნ ლარი, მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების საკითხი კვლავ მოუგვარებელია.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2018-2019 წლებში ახალციხის მერიამ გზების შეკეთების სამუშაოების შესყიდვისთვის დახარჯა 717.9 ათასი ლარი. მოცემული შესყიდვისთვის გამოცხადებული ტენდერები წარიმართა უკონკურენტოდ, ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით. აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სატენდერო პირობები მოიცავდა მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფდა კონკრეტული მიმ-

წოდების გამარჯვებას. გარდა ამისა, არ იყო ჩატარებული შესაბამისი ბაზრის კვლევა და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები რეალური გათვლების გარეშე 115.8 ათასი ლარით იყო გაზრდილი. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა საბიუჯეტო სახსრების ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესის არასათანადო მართვის გამო, რიგ შემთხვევაში ტენდერები არ შედგა. გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზით, მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის ფორმით, კანონმდებლობის დარღვევით, ხელშეკრულებები – საერთო ღირებულებით 1.3 მლნ ლარი, გააფორმა ისეთ მიმწოდებლებთან, რომელთაც არ გააჩნდათ შესაბამისი რესურსი და სამუშაოების წარმართვის შესაძლებლობა. შედეგად, სამუშაოები ვერ განხორციელდა ხელშეკრულების შესაბამისად და ობიექტები დაუსრულებელია.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლებში მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტების დათვალიერებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ზოგიერთი პროექტის შესრულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. შედეგად, 38 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ 8.0 მლნ ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურულ ობიექტებს აღენიშნება სხვადასხვა ხარვეზი და მათი მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია. გარდა ამისა, უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის შედეგად, მერიამ 197.5 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი გასწია წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე, რომელიც საერთოდ არ ფუნქციონირებს, ხოლო 184.1 ათასი ლარის ღირებულების საგზაო ინფრასტრუქტურას აღენიშნება დაზიანებები.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში დაზიანებულია და უხარისხოდ არის შესრულებული 4 ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული 1.5 მლნ ლარამდე ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები ხარვეზების გამოსასწორებლად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

დმანისის მუნიციპალიტეტში 2018-2019 წლებში მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან 3 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ 890.3 ათასი ლარის ღირებულების ობიექტებს აღენიშნება სხვადასხვა ხარვეზი და მათი მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ სამგზავრო ავტობუსების შესყიდვის დროს, სათანადოდ არ ჩაატარა ბაზრის კვლევა, შედეგად, შეუძლებელი იყო ბაზარზე ობიექტური ფასის დადგენა. ასევე შემსყიდველმა სატენდერო დოკუმენტაცია მორგო ერთ პრეტენდენტს და ერთსა და იმავე დღეს გამოცხადებულ 4 შესყიდვის ფარგლებში, მერიას სატრანსპორტო საშუალებები მიანოდა 410.8 ათას ლარიანი ფასნამაქით.

ხულოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ხულოს მუნიციპალიტეტში 1.5 მლნ ლარის მზა ბეტონის სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული მოთხოვნები დაუსაბუთებელია, რაც ზღუდავს კონკურენციას და წარმოშობს შესყიდვის კონკრეტულ პრეტენდენტებზე მისადაგებისა და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის რისკებს. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა ვერ გამოიყენა შესყიდული სამუ-

შაოების ხარისხის უზრუნველსაყოფად დანერგილი კონტროლის მექანიზმები. შესაბამისად, გზების მოწყობა რიგ შემთხვევაში განხორციელდა მოთხოვნილთან შედარებით დაბალი მარკის მზა ბეტონით, რისთვისაც გადახდილია 95.6 ათასი ლარი.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებულმა საჯარიმო სანქციების მოცულობამ, რომელიც არ შეესაბამება გავრცელებულ მიღებულ პრაქტიკას, ვერ განაპირობა მისი ინტერესების სათანადო დაცვა და მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის თავიდან აცილება. ამასთანავე, მუნიციპალიტეტისათვის ფორმალურ ხასიათს ატარებდა სამუშაოების მიწოდების გეგმა-გრაფიკის მოთხოვნაც და შემდეგ მისი დაცვის პირობაც, რაც გავლენას ახდენდა სამუშაოების დროულად დასრულებაზე და ვერ უზრუნველყოფდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის პრევენციას. სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლის მიზნით გეგმა-გრაფიკის დაცულობის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი საჯარიმო სანქციების სახით მიიღებდა 60.5 ათას ლარზე მეტს.

თელავის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევის განმენდის სამუშაოების შესყიდვის ფარგლებში, სატენდერო კომისიამ არასამართლიანად დისკვალიფიკაცია მიანიჭა დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე კომპანიას. კომისიამ არც სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს გადანაცვტილება შეასრულა და არ გადახედა მიღებულ გადანაცვტილებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა შესაძლებლობა შესყიდვის ფარგლებში მიეღო 37.8 ათასი ლარის ეკონომია.

შუახევის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების პროცესში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა მიიღო არასწორად დაგეგმილი, გამოუყენებელი და უხარისხოდ შესრულებული 6.6 მლნ ლარის სახელშეკრულებო ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები. სამშენებლო ნორმების არასწორად გამოყენებისა და შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშში (ფორმა N2) ფიქტიური მონაცემების შეტანის შედეგად, ბიუჯეტიდან ზედმეტად ანაზღაურებულია 21.9 ათასი ლარი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ყვარლის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შედეგად მოხდა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკირება, რის გამოც მუნიციპალიტეტმა სანიაღვრე არხების მოსაწყობად, ჯამში – სამივე ხელშეკრულების ფარგლებში, გადაიხადა 17.8 ათასი ლარით მეტი.

აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

აქტივების მართვის კუთხით გამოვლინდა ისეთი სისტემური ხასიათის დარღვევები, როგორებიცაა, არსებული ხარვეზების შედეგად ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები, აქტივების არაეფექტიანად გამოყენება და ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და სხვ.

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საინვესტიციო ვალდებულებების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი

ქალაქ თბილისისა და დაბა გუდაურში განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნილი საცხოვრებელი და სასტუმრო კომპლექსების მშენებლობისათვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, ასევე კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ასეთი

შინაარსის აქტივების გადაცემა პირდაპირი მიყიდვის ფორმით არ არის მიზანშეწონილი. იდენტიფიცირებულია 5 შემთხვევა, როდესაც გემოაღნიშნული შინაარსის ქონების რეალიზაცია მოხდა პირდაპირი მიყიდვის გზით. მათ შორის, ორ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთების გადაცემა განხორციელდა შეფასებით ღირებულებაზე, ჯამურად, 1.3 მლნ ლარით ნაკლებ ფასად, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო ქონების ეფექტიანად განკარგვის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებს. ქონების ადგილმდებარეობისა და დადგენილი ვალდებულებების შინაარსიდან გამომდინარე, პრივატიზების პროცესის გასაჯაროება განაპირობებდა საპრივატიზებო ობიექტთან დაკავშირებით ფართო დაინტერესებას. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო აქტივების აუქციონის საფუძველზე რეალიზაცია, რაც უზრუნველყოფდა კონკურენტუნარიან გარემოს და შექმნიდა ქონების ეფექტიანად რეალიზაციის წინაპირობას.

ასევე, ინვესტორების მიერ ვალდებულებების არასრულად შესრულების მიუხედავად, სააგენტო ხშირ შემთხვევაში არ ატარებს საკმარის და ადეკვატურ ღონისძიებებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სააგენტოს მხრიდან პასიური ქმედება გარკვეულ შემთხვევებში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა, რაც მიუთითებს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე. ამასთანავე, არ ტარდება საკმარისი ქმედითი ღონისძიებები ვალდებულებების შესრულების შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რაც ზრდის სახელმწიფო ქონების არამართლზომიერად გამოყენების რისკს.

წინონიშნულის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 1.3 მლნ ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები შესრულებულია უხარისხოდ და დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები ხარვეზების გამოსასწორებლად.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ახალციხის მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას იჯარით გასცემდა პირდაპირი განკარგვის წესით. შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტს ქონება იჯარით გაცემული ჰქონდა ისე, რომ არ იყო შეფასებული გასაქირავებელი ფართის საბაზრო ღირებულება და არ იყო განსაზღვრული საწყისი საიჯარო ქირის ოდენობა. აღნიშნულმა განაპირობა აღნიშნულ უძრავ ქონებაზე არასაბაზრო გარიგების ფასის ჩამოყალიბება, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო 232 ათას ლარზე მეტი შემოსავალი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდმა, დაბა ახალდაბაში მოსახლეობისთვის სასმელად ვარგისი წყლის მიწოდების მიზნით, 743.2 ათას ლარად შეისყიდა წყლის სათავე ნაგებობებისა და საქლორატოროს მოწყობის სამუშაოები, რომელიც მუნიციპალიტეტს სამართავად გადაეცა. საქლორატოროსა და წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაციის მიუხედავად, ახალდაბის მოსახლეობას სასმელად ვარგისი წყალი არ მიეწოდება.

ქარელის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალური ქონების იჯარით გაცემის ხელშეკრულებებით სათანადოდ არ არის დაცული ქონების მესაკუთრის ინტერესები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო იჯარით გაცემული ქონების სათანადო ადმინისტრირება და ვერ მიიღო 27 ათასი ლარის კუთვნილი შემოსავალი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების ნაწილი არაუფლებამოსილი პირების მიერ უკანონოდ გამოიყენება კომერციული საქმიანობისათვის. რამდენადაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მდგომარეობა შემოწმდა შერჩევით, მაღალია რისკი, რომ არაუფლებამოსილი პირები იყენებდნენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა ობიექტებსაც.

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტს შესყიდული და გამოუყენებელი აქვს 109.1 ათასი ლარის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლითაც დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, საერთო ღირებულებით – 4.6 მლნ ლარი, არ განხორციელებულა. შედეგად, პროექტების შესაძენად გადახდილი თანხა არაეფექტიანი ხარჯია.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში ქონების განკარგვის პროცესი ხასიათდება სისტემური ნაკლოვანებით: შესაბამისი ხელშეკრულების გარეშე, ქონების ნაწილს იყენებენ არაუფლებამოსილი პირები და იჭარას მუნიციპალიტეტს არ უხდიან. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ქონებიდან სარგებელს მუნიციპალიტეტის ნაცვლად, იღებს სხვადასხვა არაუფლებამოსილი პირი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული საწვავის მიზნობრივ ხარჯვასა და სპეციალური ტექნიკის განკარგვაზე, რამაც საწვავის/ტექნიკის არაუფლებამოსილი პირების მიერ ან/და არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენება გამოიწვია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებისა და დაწესებულებების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების სააგენტოს სარგებლობაში რიცხულ 4,202 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე მიმაგრებული 402 კვ.მ ფართის შენობაში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უკანონოდ ფუნქციონირებდა კერძო სამართლის იურიდიული პირი.

გარდა აღნიშნულისა, ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც სააგენტოს მიერ სახელმწიფო სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის სრულად გამოუყენებლობის პირობებში, 57 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრები მოხმარდა კერძო სამართლის სუბიექტის მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობას, რის გამოც არასათანადო კონტროლისა და მოქმედი კანონმდებლობის პრინციპების დარღვევის შედეგად, არაეფექტიანად იქნა გამოყენებული სახელმწიფო რესურსი.

საბიუჯეტო რესურსის მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი საბიუჯეტო რესურსების მართვის ხარვეზები მოიცავს საჭარო უწყებების მიერ ბიუჯეტის არარაციონალურად და არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებს.

ა(ა)იპ – საქართველოს ჯანდაცვის ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

სპორტული ღონისძიების ალტერნატიული დაფინანსების არსებობის პირობებში ფედერაციამ გამოიყენა საბიუჯეტო სახსრები, რამაც მის ბიუჯეტში წარმოშვა დამატებით 903.5 ათასი ლარი. აღნიშნული რესურსი ფედერაციამ დახარჯა სამთავრობო კომისიისა და სამინისტროს ნებართვის გარეშე.

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ შესაბამისობის აუდიტი

კლინიკას არ აქვს 24 მლნ ლარის ღირებულების დებიტორების სრულყოფილი რეესტრი და მისაღებ თანხებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. რიგ შემთხვევებში შეუძლებელია დებიტორების იდენტიფიკაცია, რაც შეუძლებელს ხდის აქტივების ეფექტიან მართვას. აღნიშნული მიუთითებს ორგანიზაციაში არსებულ ფინანსური მართვის მნიშვნელოვან ნაკლოვანებაზე და ზრდის მნიშვნელოვანი ოდენობით თანხის დანაკარგის რისკებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების შესაბამისობის აუდიტი

ქ. თბილისის მერიამ აღმასრულებელი ორგანოებში დასაქმებულთა დაშვებისა და ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემების შეძენასა და მომსახურებაში გადაიხადა 226 ათას ლარზე მეტი. მიუხედავად ამისა, 2017-2018 წლებში მერიასა და გამგეობებში არ არსებობდა დასაქმებულთა დასწრებისა და მათი ნამუშევარი დროის აღრიცხვის კონტროლის სრულყოფილი სისტემა.

ქედის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მერიის ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტებით არ არის შეფასებული შესრულებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან და ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობა. ფარული სამუშაოს აქტების წარმოდგენის გარეშე ანაზღაურებულია 1.3 მლნ ლარი. ასევე, არასრულყოფილად შესრულებული სამუშაოების პირობებში, ბიუჯეტიდან გადახდილია სრული სახელშეკრულებო ღირებულება, 456 ათასი ლარის ოდენობით.

თელავის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, მუ-

ნიციპალიტეტმა 291.3 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტის მოწყობაში არაეფექტიანად დახარჯა საბიუჯეტო სახსრები და პროექტის განხორციელებით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ 133.9 ათასი ლარი გადახდილია სოციალური სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებში, სადაც უნდა განთავსებულიყო 8 ბენეფიციარი ოჯახი, რომელსაც მერია უფინანსებდა საცხოვრებელი ბინის ქირის თანხას. მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ხარჯების მიუხედავად, სოციალური სახლი არ არის მოყვანილი საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში. მერიას ისევ უწევს ქირის გადახდა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა 133.9 ათასი ლარი დახარჯა არაეფექტიანად და ვერ მიაღწია პროგრამით განსაზღვრულ შედეგს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2018-2019 წლებში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ამბულატორიული დახმარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სტომატოლოგიური ორთოპედიული პროთეზირების კომპონენტში, 44.4 ათასი ლარის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულ პირს, აღებული ვალდებულებები სრულად და კეთილსინდისიერად არ შეუსრულებია. აღნიშნული წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან გამოყენებას.

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისობის აუდიტი

ცალკეულ შემთხვევებში, ბენეფიციარებზე მედიკამენტის გაცემისას ჩამოყალიბებულია არასაკმარისი კონტროლის მექანიზმი. შედეგად, გაცემული მედიკამენტების კომბინაცია და დოზები არ შეესაბამება დაავადებათა მართვის გაიდლაინებსა და მინისტრის ბრძანებით დამკვიცრულ „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დაავადებათა ჩამონათვალისა და მედიკამენტების გაცემის წესით დადგენილ მოთხოვნებს. შეუთავსებელი მედიკამენტების კომბინაციაში ან/და მაქსიმალური დოზებით მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს უკუჩვენებები და გვერდითი ეფექტები. ასევე, ცალკეულ შემთხვევაში სააგენტოში დანერგილმა კონტროლის მექანიზმმა ვერ უზრუნველყო მედიკამენტების ვადების ეფექტიანი კონტროლი.

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის და სახელშეკრულებო პირობების შესრულების შესაბამისობის აუდიტი

გამოყენებითი საგრანტო კვლევების კონკურსის ადმინისტრირებისას არ არის გათვალისწინებული პატენტის ერთადერთი მარეგისტრირებელი ორგანოს – საქპატენტის დასკვნები, კონცეფციის პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით. შედეგად, დადგენილი ნორმების მოთხოვნათა უგულვებელყოფით დაფინანსდა 2.1 მლნ ლარის ღირებულების საგრანტო პროექტი.

ასევე, ტექნიკური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფისა და ფონდის ხელმძღვანელობის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების შედეგად, 2017-2018 წლებში, დაზუსტების უფლების გარეშე, საგრანტო კონკურსიდან მოიხსნა 1.1 მლნ ლარის ღირებულების შვიდი სამეცნიერო პროექტი. სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, ფონდმა საშუალება მისცა

კონკურსანტებს დაეზუსტებინათ ხარვეზის მქონე დოკუმენტაცია ან ინფორმაცია. აღნიშნულის შედეგად, მონაწილეები აღმოჩნდნენ არათანაბარ პირობებში.

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ შესაბამისობის აუდიტი

2015-2017 წლებში კლინიკის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ცალკეული სამედიცინო შემთხვევა არ სრულდებოდა კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით და გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით, რის შედეგად სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ ორგანიზაციას არ აუნაზღაურა პაციენტებისთვის გაწეული მომსახურების ღირებულება. არასათანადო მენეჯმენტის გამო, კლინიკამ დაკარგა 786.6 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი

კომპანიამ გუდაურის ერთ-ერთი საბაგიროს ფარეხის მშენებლობა 2017 წელს განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვისა და პროექტის სავალდებულო ექსპერტიზის გარეშე. მშენებლობაში გადახდილია 317 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სამ თვეში შენობა გახდა ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი, რამაც განაპირობა განმეორებითი შესყიდვა, დაზიანებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით.

გესტაფონის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია. სოფლების მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით. სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების მნიშვნელოვანი პრობლემები: მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება. პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს და მუნიციპალიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებები პრობლემის აღმოსაფხვრელად არასაკმარისია.

ღმანისის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ადმინისტრაციული ერთეულების უმეტესობაში მერიას კანონმდებლობის შესაბამისად არ აქვს ორგანიზებული მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს შესაბამისი ლიცენზირებული ორგანიზაცია ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის; მოსახლეობის წყალმომარაგება ხორციელდება შეფერხებით, წყლის სისტემები არ არის აღჭურვილი გამწმენდი და წყლის დაქლორვის საშუალებებით; არ მოწმდება წყლის ხარისხი.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის წყალმომარაგება, ძირითადად, ხორციელდება შეფერხებით და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად წყლით. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წყალი მიეწოდება გრაფიკით. ადმინისტრაციული ერთეულების უმრავლესობაში წყლის სისტემებს ემსახურება არაუფლებამოსილი ორგანიზაცია. პრობლემა ატარებს სისტემურ ხასიათს, თუმცა მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია საკითხის გადასაწყვეტად.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა ვერ წარმოადგინეს შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები ზოგიერთი საშტატო ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები რამდენად ეფუძნება დაწესებულებების რეალურ საჭიროებებს და მათი საქმიანობა რამდენად შეესაბამება ყოველდღიურ დატვირთვას.

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებასა და დასახული მიზნების მიღწევას, რისკების მართვასა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენა. კერძოდ, ფარული სამუშაოების აქტების შესწავლით დგინდება, რომ 7 ხელშეკრულების ფარგლებში, ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტიზამ დაადასტურა და მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა ისეთი სამუშაოები, რომლებიც წარმოდგენის თარიღისათვის შეუსრულებელი იყო. საჭარმხო სანქციის შემცირების მიზნით, მიმწოდებლები ფორმალურად წარმოადგენდნენ წერილობით შეტყობინებას სამუშაოების დასრულების თაობაზე, რეალურად კი აგრძელებდნენ განფასებული სამუშაოების შესრულებას.



ეფექტიანობის აუდიტის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრიორიტეტული მიმართულებაა ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია საჯარო უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეული შედეგებისა და ამ პროცესში საბიუჯეტო რესურსის გამოყენების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება ხელს უწყობს საჯარო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას.

სამსახურის სტრატეგიული მიზანია ეფექტიანობის აუდიტების წილის ზრდა მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში, თუმცა 2020 წელს პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა აუდიტების ჩატარება-სთან დაკავშირებული პროცესები. შედეგად, საანგარიშო პერიოდში სამსახურმა დაასრულა 11 ეფექტიანობის აუდიტი, რაც ჩატარებული აუდიტების 18%-ს შეადგენს.

2020 წელს ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი შედეგებია:

ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის ეფექტიანობის აუდიტი


სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა ქვეყანაში ტუბერკულოზის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2016-2019 წლების პერიოდს. აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა, რამდენად გამართულად ფუნქციონირებს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული მექანიზმები და რამდენად ეფექტიანია მოქმედი დამხმარე მექანიზმები ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის მკურნალობისათვის.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან კონტაქტში მყოფი პირების ადრეული აღმოჩენა და მკურნალობაში ჩართვა დაავადების გავრცელების რისკის შემცირების აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოში ეპიდემიოდამხედვე-

ლობის მექანიზმის აღსრულება გამართულად არ ფუნქციონირებს. ჩატარებული ეპიდკვლევების დიდი ნაწილი დაგვიანებით ხორციელდება.

რეკომენდებულ 4 დღეზე უფრო მეტ დროში ჩატარებული ეპიდკვლევების წლების მიხედვით




მიგნება: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს არ აქვს კონტროლის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ჩატარებული ეპიდკვლევების დროულობის კონტროლი. ასევე ჩატარებული ეპიდკვლევების ერთიანი ბაზა არ არის სათანადო კონტაქტების პროაქტიული მიდევნებისთვის/კონტროლისათვის.

რეკომენდაცია: ეპიდემიოლოგიური კვლევების პროტოკოლით გათვალისწინებულ დროში ჩატარებისა და გამოკვლეული კონტაქტების მიდევნებისთვის, ფთიზიატრთან გამოცხადების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მიზნით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყოს ერთიანი სათანადო ბაზის წარმოება და საჭირო კონტროლის მექანიზმების შემუშავება, რომელიც წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით შეამოწმებს ეპიდკვლევების მიმდინარეობას და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებს სათანადო ზომებს.

მიგნება 2: არანებაყოფლობითი იზოლაცია, როგორც საფრთხის თავიდან არიდებისთვის საჭირო უკანასკნელი მეთოდი, მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და აღიარებულია ჯანმოს მიერ. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2016-2019 წლებში რეგისტრული ტუბერკულო-

ზის მქონე პაციენტები და გამოავლინა, რომ ამ წლებში არ გამოიყენებოდა არანებაყოფლობითი იზოლაცია, როგორც საფრთხისგან თავის აცილების კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი გზა.

რებისტენტული ფორმის ტუბერკულოზის მქონე პაციენტები, რომელთა მიმართ შესაძლოა კანონით განსაზღვრული არანებაყოფლობითი იზოლაციის მექანიზმი გამოყენებინათ



მიზეზი: ქვეყანაში არ არსებობს არანებაყოფლობითი იზოლაციის, როგორც საფრთხიდან თავის არიდების უკანასკნელი მეთოდის აღსრულების მექანიზმი.

რეკომენდაცია: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჩართულ მხარეებთან ერთად შეიმუშაოს არანებაყოფლობითი იზოლაციის, როგორც საფრთხიდან თავის არიდების უკანასკნელი მეთოდის აღსრულების მექანიზმი.

ტყის ხანძრებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ტყის ხანძრებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც 2017-2019 წლების პერიოდს მოიცავს.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: სხვა ფაქტორებთან ერთად, ტყის ხანძრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევი მიზეზი ტყის რესურსებით უკანონო სარგებლობაა, რადგან უკანონო ჭრის შედეგად დატოვებული ნა-

რჩენები გარკვეულ პერიოდში ხმება და ადვილად აალებად/წვად მასალად იქცევა. ბოლო წლებში კი მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილზე, უშუალოდ ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტების გამოვლენის მაჩვენებელი. შესაბამისად, გამოუვლენელი რჩება ტყის უკანონო ჭრის მრავალი ფაქტი, რამაც შესაძლოა ტყის ხანძრები და მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვიოს.

მიზეზი: 2019 წლამდე, სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოში საქმიანობდნენ ე.წ. „ტყის მცველები“, რომლებიც ქმნიდნენ მნიშვნელოვან რგოლს, ერთი მხრივ, ტყის უკანონო სარგებლობის პრევენციაში, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილზე აქრობდნენ მცირე ხანძრებს ან დროულად ავლენდნენ ინციდენტს, რისი მეშვეობითაც ამცირებდნენ მცირე ხანძრების დიდ მასშტაბში გადაზრდის რისკებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლამდე ტყის ფიზიკურ დაცვას ორი სახელმწიფო სტრუქტურა (სსიპ – სატყეო სააგენტო და სსდ ზედამხედველობის დეპარტამენტი) ახორციელებდა.

2019 წლის 25 იანვრიდან სააგენტოს აღნიშნული ფუნქცია ჩამოშორდა, რის გამოც ტყის მცველის პოზიცია გაუქმდა და მის ხარჯზე გაიზარდა სსდ ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა. შედეგად, სატყეო სააგენტოში შტატები მნიშვნელოვნად შემცირდა იმ თანამშრომელთა ხარჯზე, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ უშუალოდ ტყეში აღევკვითათ უკანონო ჭრის ფაქტები, ამასთანავე დროულად აღმოეჩინათ ტყის ხანძრები და მათი ლოკალიზება-ლიკვიდაცია მოეხდინათ.

რეკომენდაცია: ტყის ხანძრების პრევენციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სამინისტრომ სააგენტოსთან ერთად იმსჯელოს ტყის მცველების სისტემის საჭიროებაზე, მათ ოპტიმალურ რაოდენობასა და რეგიონულ განაწილებაზე. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია, სააგენტომ გამოიყენოს საერთაშორისო კარგი პრაქტიკა.

მიგნება 2: სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ არის 42 სატყეო უბანი, საიდანაც 32 უბნისთვის (76%) არ არსებობს შემუშავებული ტყის მართვის გეგმები, სადაც უნდა აისახოს ტყის ფონდის აღრიცხვის, ხანძარსა-შიშ კლასებად დაყოფისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვის შედეგები. სააგენტოს მიერ



არ გატარებულა მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის: ხელოვნური ხანძარსაწინააღმდეგო წყალ-საცავების და ვერტმფრენის ასაფრენი მოედნების მოწყობა, რაც ძალიან აქტუალურია მასშტაბური ტყის ხანძრების დროული ლიკვიდაციისთვის.

მიზეზი: შეფერხებებით ხორციელდება ტყის ფონდის ინვენტარიზაცია, არ არის დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო წყალსაცავების, ვერტმფრენის ასაფრენი მოედნების, მინერალიზებული ზოლებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ბილიკების მოწყობის სტანდარტები და კრიტერიუმები, რომელთა შემუშავება და დამტკიცება უნდა მოხდეს ყველა დაინტერესებულ უწყებასთან, განსაკუთრებით კი საგანგებო სიტუაციების სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით.

რეკომენდაცია: ტყის ხანძრების პრევენციული ღონისძიებების სრულყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია ტყის მართვის ორგანოებმა უზრუნველყონ:

- შესაბამისი გეგმების (ტყის მართვისა და მენეჯმენტის გეგმები) დროული შემუშავება და გამოვლენილი რისკიანი ზონებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შედგენის ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციების სამსახურთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან კოორდინაციით, ტყის ხანძრების პრევენციული ღონისძიებების (მინერალიზებული ზოლებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ბილიკების მოწყობის და სხვ.) შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა და აღნიშნულ პროცესში რელევანტური ასპექტების გათვალისწინება – ხანძარსაში კლასი, რეგიონის მახასიათებელი, რელიეფი, მომეტებული ხანძრის საფრთხის შემცველი ზონის და სხვ.

მიგნება 3: სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მეხანძრე-მაშველთა რაოდენობა მცირეა. ამასთანავე, მეხანძრე-მაშველების არსებული რესურსები არათანაბრად არის განაწილებული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. ასევე არათანაბრად არის განაწილებული ის სახანძრო სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ძირითადად განკუთვნილია ტყის ხანძრებისთვის. მაგალითად, აჭარის რეგიონში, სადაც ხანძრების რაოდენობა შედარებით ნაკლებია, სახანძრო მანქანები მეტია, ვიდრე კახეთის რეგიონში, სადაც ხანძრების

რაოდენობა თითქმის 3-ჯერ აღემატება აჭარის რეგიონის ინციდენტებს.

მიზეზი: აღნიშნული ნაკლოვანებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია რესურსების განაწილების კრიტერიუმების არარსებობა.

რეკომენდაცია: მზადყოფნის ღონისძიებების ეფექტიანობისთვის, მნიშვნელოვანია სამსახურმა უზრუნველყოს:

- რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მეხანძრე-მაშველებისა და სახანძრო ავტოპარკის ოპტიმალური განაწილების კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა.

ხე-ტყის კომერციული და სოციალური მართვის ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა საქართველოში ხე-ტყის კომერციული და სოციალური მართვის მიმართულებით არსებული მდგომარეობა, რაც უკავშირდება ხე-ტყის უკანონო ჭრების საკითხების შესწავლას, ლიცენზიების გაცემას, ლიცენზიის პირობების ჩამოყალიბებას და სალიცენზიო ფართობის სახელმწიფო კონტროლს.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს აღარ აქვს უკანონო ჭრების გამოვლენისა და მათზე რეაგირების უფლებამოსილება, ხოლო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მრავალფუნქციური დატვირთვისა და საკადრო რესურსის სიმცირის გამო, აკონტროლებს მხოლოდ ტყეში შესასვლელ/გამოსასვლელ გზებს, რომელთა შორის მანძილი, დაახლოებით, 30 კმ-ია. შედეგად, არ არის უზრუნველყოფილი ტყის სრულყოფილი კონტროლი.

მიზეზი: არსებული ადამიანური და ტექნიკური ინფრასტრუქტურით სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებისგან დაცვა.

რეკომენდაცია: ხე-ტყის რესურსებზე უკანონოდ მოპოვების შემთხვევების მინიმიზაციისა და ტყის მდგრადი განვითარების პრინციპების უზრუნველ-

საყოფად, მნიშვნელოვანია შეფასდეს არსებული კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები, შემუშავდეს რისკზე დაფუძნებული უკანონო ჭრების წინააღმდეგ მიმართული ახალი მიდგომები და განხორციელდეს მისი სათანადოდ აღსრულება. ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტების შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია შესაბამისმა უწყებებმა იმსჯელონ:

- უკანონო ტყითსარგებლობისგან დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე ტყის ყველა უბანზე, შესაბამისი რაოდენობის პერსონალის განაწილების საჭიროებაზე;
- სტრატეგიულ ლოკაციებზე შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობაზე, უკანონო ჭრის ფაქტების გამოვლენის ხელშესაწყობად;
- აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში ცვლილების განხორციელებაზე.

მიგნება 2: ლიცენზიანტების მიერ სათანადოდ არ სრულდება სალიცენზიო პირობები, რის შედეგად 2017-2019 წლებში გარემოს მიაღდა 5.2 მლნ ლარის ოდენობის ზიანი.

მიზეზი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ქმედების მიუხედავად, არსებულმა მონიტორინგის სისტემამ სრულად ვერ უზრუნველყო ლიცენზიანტების მიერ ტყისთვის მიყენებული ზიანის მინიმუმამდე შემცირება.

რეკომენდაცია: ლიცენზიანტების მიერ ტყის რესურსებზე მიყენებული ზიანის რისკის შესამცირებლად, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ იმსჯელოს შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტში ცვლილების შეტანაზე, რაც უზრუნველყოფს ზიანის გამოსწორების მიზნით ტყის აღდგენის საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელებას.

რების მიზნით ტყის აღდგენის საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელებას.


პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტი

უმუშევრობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, ხოლო ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას შრომის ბაზრის მოთხოვნასა და სამუშაო ძალის მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირება ქმნის. ამ მიმართულებით აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები პროფესიული განათლების ნაწილში, რადგან იგი ხელს უწყობს დასაქმების ღონის ზრდას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობა.

მიგნება 1: პროფესიული კოლეჯები გარკვეული რაოდენობით სტუდენტებს ისეთ სპეციალობებზე იღებენ, რაზე მოთხოვნაც პროფესიული განათლების მქონე პირების დამსაქმებლებს ნაკლებად გააჩნიათ და ამ მიმართულებით დაუსაქმებელია უმაღლესი განათლების მქონე პირების მნიშვნელოვანი ნაწილიც. აღნიშნულის საპირისპიროდ არსებობს მიმართულებები, რომლებიც მოთხოვნადია ბაზარზე, თუმცა პროფესიული სასწავლებლები ნაკლებად სთავაზობენ ამ პროგრამებს.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით მუშაობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოკითხული კურსდამთავრებულების მხოლოდ 35%. ამასთანავე, კონკრეტული პროფესიების მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი განსხვავდება და ხშირ შემთხვევაში ჩამორჩება 35%-ს.

პროფესიულ სასწავლებელში მიღებული ცოდნით დასაქმებულთა პროცენტული განაწილება პროფესიების მიხედვით



მიზეზი: პროფესიული სასწავლებლები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სასწავლო პრიორიტეტებს. აღნიშნულ პროცესში მათთვის ხელმისაწვდომია ზოგადი კვლევები, თუმცა აღნიშნული კვლევები საკმარისად დეტალიზებული და რეგიონულ ჭრილში არ არის წარმოდგენილი, ხოლო პროფესიული სასწავლებლები არ არიან აღჭურვილი კვლევის ჩატარების უნარებითა და მექანიზმებით.

რეკომენდაცია: სასწავლო პროგრამების შრომის ბაზართან თავსებადობის მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევების ჩატარების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლება; აგრეთვე დაადგინოს კრიტერიუმები, რა ტიპის და მასშტაბის კვლევა/მსჯელობა იქნება მისაღები პრიორიტეტული პროგრამის დასაბუთებულობის უზრუნველსაყოფად (აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული მოთხოვნის დასაბუთებისთვის).

მიგნება 2: პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მოდელის მიმართულებით გამოვლინდა სხვადასხვა ნაკლოვანება და გაუმჯობესების პოტენციალი. პროგრამული დაფინანსების ნაწილში – დაფინანსების საფუძველია სასწავლებლის სამინისტროსთვის მიმართვა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის წარდგენა, თუმცა არ კეთდება ანალიზი, რამდენ სტუდენტს იღებს ყოველწლიურად დაწესებულება, ასრულებენ თუ არა სწავლას სტუდენტები და ა.შ. პროგრამული დაფინანსება არ არის დაკავშირებული სასწავლებლის წარმატებასთან. ამასთანავე, არ არის საკმარისად დასაბუთებული მსგავსი ტიპის დაწესებულებებში პერსონალის ანაზღაურებას და რაოდენობაში არსებული განსხვავების რაციონალური მიზეზები და დაფინანსების გაცემის მიზანშეწონილობა.

ვაუჩერული დაფინანსების ნაწილში – იმ პირობებში, როდესაც უცნობია პროფესიულ სასწავლებლებში დარჩენილი ეკონომიის წილობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, არ არის განსაზღვრული რამდენად ადეკვატურია მოდულის ვაუჩერის ღირებულება.

მიზეზი: სამინისტროს, ერთი მხრივ, არ აქვს შემუშავებული ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გასაწევი დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, მეორე მხრივ, სამინისტროს მიერ წარმოქმნილი ეკონომიების კონტროლი დაწესებულებებისთვის განკარგავზე თანხმობის გაცემაში გამოიხატება. არ ხორციელდება წარმოქმნილი ეკონომიების ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულებების მიხედვით.

რეკომენდაცია: დაფინანსების სამართლიანი და თანაბარი განაწილების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ დაფინანსების თითოეული კომპონენტისთვის შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულ იქნება შემდეგი ფაქტორები:

- პროგრამული დაფინანსების პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს მეთოდოლოგია და კრიტერიუმები (სტუდენტთა კონტინგენტი, სასწავლებლის პროფილი, თანამშრომელთა რაოდენობრივი სიდიდე და სხვ.), რომელთა საფუძველზეც სასწავლებლებს მიეცემა თანაბარი განვითარების შესაძლებლობა;
- ვაუჩერული დაფინანსებისთვის განისაზღვროს ვაუჩერული დაფინანსების ნაწილში წარმოქმნილი ეკონომიით სარგებლობის წესი და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, წარმოქმნილი ეკონომიების შესწავლისა და ანალიზისთვის.

საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად, რამდენად უზრუნველყოფს სისტემაში არსებული მექანიზმები საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობასა და მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენს სისტემის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე. აუდიტის შედეგად გამოვლინდა პრობლემები და ნაკლოვანებები პროცესის თითქმის ყველა ეტაპზე.



აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: ცენტრის მიერ დასაფინანსებელი პრიორიტეტული მიმართულებები არ ეფუძნება სისტემურ კვლევას, ამასთანავე, სამინისტრო არ მონაწილეობს ამ მიმართულებების ფორმირებაში. აღნიშნული ზრდის რისკს, რომ ცენტრის მიერ დაფინანსდება ქვეყნისთვის ნაკლებად პრიორიტეტული მიმართულებები, რაც ეწინააღმდეგება მათზე მიმართული დაფინანსების საბოლოო მიზნებს და ხელს უშლის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებას.

მიგნები: განათლების სისტემაში არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია: რესურსების პროდუქტიული და ეფექტიანი გამოყენების მიზნით, შესაბამისი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნეს იმ მიმართულებებისა და დარგების იდენტიფიცირება, სადაც არსებობს კვალიფიციური კადრების საჭიროება, თანხვედრაშია ქვეყნის მიზნებთან და გათვალისწინებულ იქნეს ისინი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას.

მიგნება 2: მნიშვნელოვნად განსხვავებულია ერთსა და იმავე ქვეყანასა და პერიოდში, სხვადასხვა სტუდენტზე საყოფაცხოვრებო ხარჯების ასანაზღაურებლად გაცემული დაფინანსება. საკონკურსო კომისია თითოეული ქვეყნისთვის ამტკიცებს თანხის ზღვრულ ოდენობას, თუმცა არ არსებობს კალკულაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მიგნები: ცენტრს არ აქვს შემუშავებული სტუდენტთა საზღვარგარეთ საჭირო საყოფაცხოვრებო

თანხების განსაზღვრის მეთოდოლოგია. 2016 წლიდან არ განხორციელებულა ზღვრული ოდენობის კორექტირება სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით.

რეკომენდაცია: ბენეფიციარებისათვის საზღვარგარეთ საცხოვრებლად საჭირო თანხების პროდუქტიულად გამოყენების უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს ასანაზღაურებელი თანხების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დიფერენცირებული იქნება ცალკეული ქვეყნის მიხედვით. ამასთანავე, საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობები დაეფუძნოს შესაბამის კალკულაციებს და ეკონომიკური პარამეტრების მკვეთრი ცვლილების პირობებში, გათვალისწინებულ იქნეს მათი პერიოდული კორექტირების შესაძლებლობა.

მიგნება 3: ცენტრის მიერ დაფინანსებული ბენეფიციარების 30%-ის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის ქვეყანაში რეალიზება არ ხდება, რაც ეწინააღმდეგება პროგრამის ძირითად მიზანს და მიუთითებს პროგრამისა და გამოყოფილი ფინანსური რესურსების არაეფექტიანად მართვაზე.

მიგნები: ცენტრისა და სამინისტროს მიერ არ არის დანერგილი შეფასებისა და მონიტორინგის საკმარისი მექანიზმები. კერძოდ, ცენტრს ეფექტიანობის შეფასების მიზნით არ ჩაუტარებია სათანადო კვლევა და ანალიზი. ამასთანავე, სამინისტროს არ შეუსწავლია ცენტრის საქმიანობა გამოყოფილი ფინანსური რესურსების პროდუქტიული და ეფექტიანი ხარჯვისა და დასახული მიზნების მიღწევის შესაფასებლად. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და ქვეყანაში დაბრუნების დასადგენად, ცენტრი არ მიმართავს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციას ან/და ინფორმაციის მოძიებას, მონიტორინგის სხვა მექანიზმების გამოყენებით.

რეკომენდაცია: პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევის შესაფასებლად, მიღებულ იქნეს ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან და უზრუნველყოს გრანტის მიმღებთა მხრიდან ვალდებულების შესრულების პერიოდული მონიტორინგი. ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე განხორციელდეს ხელშეკრულების დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება, შეფასდეს მათი თანხედრა ცენტრის მიზნებთან და მოხდეს შესაბამისი რეაგირება. შეფასდეს პროგრამის მიზნების მიღწევის მაჩვენებლები, რათა დაიგეგმოს და გატარდეს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები სახელმწიფო რესურსების ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენების მიზნით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა სქემით გათვალისწინებული მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერული წინსვლისთვის განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის საკითხები.

მიგნება 1: სქემის ფარგლებში, 2020 წლიდან პროფესიული უნარების დამადასტურებელ გამოცდაში გადასალახავი მინიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული. ამასთანავე, მიუხედავად მასწავლებლების მიერ გამოცდაზე მიღებული დაბალი შედეგებისა, იზრდება იმ მასწავლებლების რიცხვი, რომლებმაც მომდევნო კარიერულ საფეხურზე გადაინაცვლეს.

მიგნება: მასწავლებლის კვალიფიკაციის დადასტურება ხორციელდება საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარებით დაბალი საგამოცდო კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე. 2020 წლიდან პროფესიული უნარების დამადასტურებელი გამოცდის ბარიერი მტკიცდება სქემისგან დამოუკიდებლად, მინისტრის ბრძანებით. სქემაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველად, მასწავლებლებს მინიმალური ბარიერის გადალახვის შემთხვევაშიც ეძლევა საშუალება სტატუსი დამატებითი აქტივობების განხორციელების გზით აიმაღლონ.

რეკომენდაცია: მასწავლებლის კვალიფიკაციის დადასტურების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ყველა საფეხურზე მკაფიოდ გაიწეროს პედაგოგის მიერ პროფესიული უნარების გამოცდის ფარგლებში, კომპეტენციის დამადასტურებელი მინიმალური ზღვარი.

მიგნება 2: 2020 წლიდან უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის განისაზღვრა ტრენინგების გასავლელად სავალდებულო საათების რაოდენობა, თუმცა არ არის იდენტიფიცირებული დარგებისა და კარიერული საფეხურების მიხედვით სავალდებულო და არჩევითი ტრენინგმოდულები, ასევე არ არის შემუშავებული მასწავლებელთა გადამზადების ეტაპობრივი და თანმიმდევრული გეგმა. 2017-2019 წლებში ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული მასწავლებლების 1/3-ს. არსებული რესურსის პირობებში შესაძლებელი იყო 5 წლის განმავლობაში ორი პრიორიტეტული მიმართულებით მასწავლებელთა სრული კონტინგენტის გადამზადება, რაც ხელს შეუწყობდა ფინანსური რესურსის პროდუქტიულ ხარჯვას.

მიგნება: ცენტრს არ აქვს შემუშავებული ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თანაბარ მიდგომასა და უწყვეტი განვითარებისთვის საჭირო მინიმალური სტანდარტის დანერგვას. საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, მასწავლებლებისთვის ტრენინგების გავლა 2020 წლამდე არ იყო სავალდებულო. პრაქტიკოსსა და უფროს მასწავლებლებს მომდევნო კარიერულ საფეხურზე გადასასვლელად საკმარისი კრედიტულების დაგროვება იმ შემთხვევაშიც შეეძლოთ, თუ ისინი არ გაივლიდნენ საგნობრივი მეთოდის ან პროფესიული უნარების ტრენინგებს.

რეკომენდაცია: მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების და ტრენინგებზე მიმართული ფინანსური რესურსის პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით:

- მასწავლებლის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ტრენინგების გასავლელად სქემით დადგენილი წლიური სავალდებულო საათების ფარგლებში, შეფასდეს და შესაბამისად გაიწეროს ცალკეული დარგისა და კარი-

ერული საფეხურის მიხედვით სავალდებულო და არჩევითი ტრენინგმოდულები;

- განისაზღვროს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თანმიმდევრულად, პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, კონკრეტულ ვადებში მასწავლებელთა სრული კონტინგენტის გადამზადებას.

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტს (SRAMP)“, რომლის ეფექტიანობის აუდიტიც ჩაატარა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა. აუდიტის ანგარიშის საფუძველზე მსოფლიო ბანკი იღებს რწმუნებას, რომ პროექტი ხორციელდება ბანკის წესების, პროცედურებისა და სახელმძღვანელოების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება: ზედამხედველის ყოველთვიური ანგარიშების თანახმად, თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინოგორის საავტომობილო გზაზე სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა წინასწარ დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე. შესაბამისად, კონტრაქტორებისთვის მშენებლობის ოფიციალური სახელმძღვანელო მითითებები არ იყო ხელმისაწვდომი. შედეგად, ვერ მოხერხდა სარეაბილიტაციო პროცესის ხარისხის ეფექტიანი კონტროლი და ზედამხედველის მიერ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესის შეფასება.

მიგნება: საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცების პროცესში არ არის დანერგილი საკმარისი კონტროლის მექანიზმები.

რეკომენდაცია: მშენებლობის პროცესში შეუსაბამოების შემცირებისა და მაღალი ხარისხის საგზაო სტანდარტების შესანარჩუნებლად, გზების დეპარტამენტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცების პროცესის ხარისხზე. კერძოდ, გზების მშენებლობა უნდა განხორციელდეს წინასწარ შეთანხმებული საპრო-

ექტო დოკუმენტების პარამეტრებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით.

თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და ფოთის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ეფექტიანობის აუდიტი

საქართველოში საბავშვო ბაღების საქმიანობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2014-2019 წლებში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა სკოლამდელი აღზრდის სისტემის ძირეული ცვლილებისთვის. სამსახურმა ჩაატარა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და ფოთის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და ფოთის მუნიციპალიტეტებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები, რათა ბაღების საქმიანობა ყოფილიყო დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შესაბამისი ორგანოების მხრიდან სათანადო ღონისძიებების განუხორციელებლობის გამო, წინსვლა არ არის ბაღების ავტორიზაციის კუთხითაც. ბაღების ავტორიზაციის პროცესი, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს უნდა დასრულებულიყო, 2020 წლის 31 დეკემბრამდე გადაიდო, თუმცა მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა და ვადა კიდევ ერთხელ, 2021 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა.

მიგნება: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არ არსებობს ერთიანი ხედვა, როდის უნდა უზრუნველყონ მერიებმა საბავშვო ბაღების სტანდარტებთან შესაბამისობა. პასუხისმგებელი ორგანოების საქმიანობა ბაღების განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, არ არის თანმიმდევრული. მენეჯმენტი ძირითადად მიმართულია ყოველდღიური ამოცანების გადაჭრისკენ და არ ახორციელებს ისეთ აქტივო-



ბებს, რაც არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას გრძელვადიანად შეუწყობს ხელს.

რეკომენდაცია: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებთან კონსულტაციების საფუძველზე შექმნას დროში განერილი ერთიანი სტრატეგია, რათა იცოდნენ, თუ რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას საბავშვო ბაღების საქმიანობის სტანდარტების დაკმაყოფილების პროცესში. აუცილებელია სამოქმედო გეგმა იყოს თანმიმდევრული და ითვალისწინებდეს ეტაპობრივად განსახორციელებელ კონკრეტულ ქმედებებს, რათა შესაძლებელი იყოს მისი შესრულების შეფასება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ავტორიზაციის პროცესის სათანადოდ წარმართვას და საბავშვო ბაღების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

მიგნება 2: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და ფოთის მუნიციპალიტეტებში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების გასაზრდელად 2014-2019 წლებში ახალი ბაღების მშენებლობაზე მიმართულია 44 მლნ ლარი, ხოლო არსებული ბაღების რეაბილიტაციაზე – 5.6 მლნ ლარი, არსებული ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს. აღსანიშნავია, რომ შენობები სრულად არ არის აღჭურვილი კანონმდებლობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შენობაში ბავშვების კონცენტრაციის დროს. შესაბამისად, 2014-2019 წლებში მუნიციპალიტეტების მხრიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას.

მიზეზი: მენეჯმენტის მხრიდან სტანდარტების მიმართ დამოკიდებულება არ არის სათანადო. სტანდარტების მოთხოვნებს არც ახალი შენობების მშენებლობის დროს ითვალისწინებენ. აღნიშნული კი იწვევს არსებული ინფრასტრუქტურის შეუსაბამობას დადგენილ ნორმებთან.

რეკომენდაცია: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და ფოთის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა, შესაბამის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიმუშაონ საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია. დოკუმენტში ასახული უნდა იყოს იმ აქტივობებისა და ღონისძიებების გრძელვადიანი გეგმა, რომლითაც უზრუნველყოფენ როგორც არსებული სიტუაციის გაუმჯობესებას, ასევე საჭარო ბაღებზე მოსახლეობის მხრიდან მზარდ მოთხოვნასთან შესაბამისობას. ამასთანავე, პასუხისმგებელმა პირებმა შეისწავლონ საბავშვო ბაღებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მდგომარეობა და მის მოსაწესრიგებლად გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბავშვო ბაღების რეფორმირების პროცესის წარმართვას ისე, რომ მაქსიმალურად სწრაფად იქნეს დაკმაყოფილებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების სტანდარტები.

საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის აუდიტი

საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქმედითი ინსტიტუციების არსებობისა და საჯარო მმართველობის ეფექტიანი განხორციელებისათვის. საქართველოში საჯარო სექტორი ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია, რომელიც დაქირავებით დასაქმებულების 34%-ს⁸ შეადგენს.


სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის აუდიტი. აუდიტმა შეისწავლა:

- საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების აღრიცხვა;
- ადამიანური რესურსების დაგეგმვა და დაკომპლექტება შერჩეულ სამინისტროებში;⁹
- სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებული აქტივობები.

⁸ დასაქმებულთა მთლიან რაოდენობას გამოკლებული თვითდასაქმებულები.

⁹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საჯარო სექტორსა და საჯარო სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა



აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: მონაცემები საჯარო სექტორში დასაქმებულთა შესახებ ფრაგმენტულია და ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ხერხდება დასაქმებულთა როგორც აბსოლუტური რაოდენობის, ისე მათი კატეგორიების (საჯარო სექტორი, სახელმწიფო სამსახური, საჯარო სამსახური) სათანადო სიზუსტით იდენტიფიცირება. არასრულყოფილმა მონაცემებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მთავრობის მხრიდან ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიც არის, საჯარო დაწესებულებების გაერთიანება, ოპტიმიზაცია ან/და ლიკვიდაცია.

მიგნება: სტატისტიკური მონაცემების არაერთგვაროვნებას განაპირობებს მონაცემების წარმოებაში მონაწილე სხვადასხვა უწყების განსხვავებული მიზნები ინფორმაციის შეგროვებისა და წარდგენისას, ასევე დასაქმებულთა დათვლის განსხვავებული მეთოდოლოგია.

რეკომენდაცია: სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს საჯარო სექტორში დასაქმებულთა შესახებ სათანადო ხარისხის ინფორმაციის წარმოება იმ ორგანიზაციებთან კოორდინაციით, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აღრიცხავენ სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობას (ფინანსთა სამინისტრო, სსიპ – სტატისტიკის ეროვნული სამსახური); აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს მონაცემთა შეგროვების არსებული პროცესის ფარგლებში

ინფორმაციის დამატებით დეტალიზაციას და იმ ტრილში წარდგენას, რომელიც აუცილებელია საჯარო სექტორის ქვეკატეგორიების, ასევე თითოეულ მათგანში შემავალი დასაქმებულების აბსოლუტური რაოდენობის დასაზუსტებლად.

მიგნება 2: შესწავლილ სამინისტროებში ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია მომზადებული არ არის, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წყარო უნდა იყოს ადამიანური რესურსების მართვის (HR) ერთეულისთვის ინფორმაციის მისაღებად, სამუშაო ძალის საჭიროებების შესახებ, მისი რაოდენობისა და უნარ-ჩვევების განსაზღვრის თვალსაზრისით. ამასთანავე, HR ერთეულებს არ აქვთ განსაზღვრული საკუთარი სტრატეგია. შედეგად, დოკუმენტირებული სახით არ არის იდენტიფიცირებული ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიმართულებები/გამოწვევები, ხოლო მათთან მიმართებით არ არის განსაზღვრული როგორც სამიზნე, ისე საბაზისო მაჩვენებლები (მაგალითად, ვაკანსიების შევსების, გადინების არსებული და მიზნობრივი მაჩვენებელი და ა.შ.).

მიგნება: სამინისტროებში სამუშაო ძალის დაგეგმვის პროცესი არ არის სისტემატიზებული და დოკუმენტირებული უკეთესი პრაქტიკით განსაზღვრული საფეხურების მიხედვით.

რეკომენდაცია: სამინისტროებმა უზრუნველყონ ორგანიზაციული სტრატეგიებისა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების შემუშავება, სამუშაო ძალის ორგანიზაციის მიზნებსა და



ამოცანებთან დაკავშირების გზით. ამასთანავე, უზრუნველყონ იმ მიზნობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზე განხორციელდება ადამიანური რესურსების საშუალოვადიანი დაგეგმვის ეტაპები.

მიგნება 3: სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ცენტრალური საჯარო დანესებულებების ინსტიტუციური ანალიზის შედეგების მიხედვით, ბიუროს მიერ რეკომენდებულ პრაქტიკის ნაწილს სამინისტროები არ იყენებენ, ხოლო ბიურო არ უწევს სათანადო მონიტორინგს გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.

მიზეზი: სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადებული სახელმძღვანელო დოკუმენტები-სა და რეკომენდებული პრინციპების დაბალი მიმდებლობა საჯარო სექტორის მხრიდან, ასევე აღნიშნული პრაქტიკის სარეკომენდაციო ხასიათი.

რეკომენდაცია: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ მის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოებით განსაზღვრული მნიშვნელოვანი პრინციპების შესრულების მიზნით, განახორციელოს მათი შესრულების სრულფასოვანი მონიტორინგი და სამინისტროების მხრიდან არსებითი და სისტემური პრინციპების დაუცველობის შემთხვევაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოს პრაქტიკული ზომები.

სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების ეფექტიანობის აუდიტი

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით, საგრანტო დაფინანსებით, არაერთი პროექტი ხორციელდება, რომლის ადმინისტრირებასაც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციები. 2017-2019 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის და განათლების სფეროს ხელშეწყობის სხვადასხვა პროგრამები.

დაგეგმილი სახელმწიფო პროგრამები კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული, შესაბამისად, გამოყოფილი რესურსები უნდა იყოს საკმარისი დასახული მიზნების მისაღწევად. საბიუჯეტო ასიგნებების მიზნობრივი და ეფექტური განკარგვის შესაფასებლად,

მნიშვნელოვანია ეფექტიანობის ინდიკატორების განსაზღვრა, რაც შესაძლებელს გახდის გაანალიზდეს, დახარჯული რესურსით მიღწეული შედეგი და შეფასდეს პროგრამის ეფექტიანობა.

სოციალურ-ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით, 2017-2019 წლებში ჯამურად დაახლოებით 600 მლნ ლარამდე დაიხარჯა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალია განხორციელებულიყო სახელმწიფოს მიერ 2017-2019 წლებში გაცემული გრანტების ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც მოიცავდა გრანტების დაგეგმვის, გაცემის, მონიტორინგისა და შედეგების შეფასების პროცესების შესწავლას.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: შემონმბებული ობიექტების უმრავლესობაში გრანტის გაცემის მიზნები ზოგადი ხასიათისაა, არ ხდება ან არასათანადოდ არის განსაზღვრული შედეგების შეფასების ინდიკატორები. აღნიშნული არ იძლევა შესაძლებლობას, გაანალიზდეს კონკრეტულად რა მოცულობით და ხარისხით შეუწყო ხელი 2017-2019 წლებში გრანტის სახით დახარჯულმა საბიუჯეტო სახსრებმა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

რეკომენდაცია: საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისა და მიღწეული შედეგების მაქსიმალურად უზრუნველყოფისათვის, ორგანიზაციებმა მკაფიოდ განსაზღვრონ მიზნები, მათ მისაღწევად საჭირო აქტივობები და შედეგების გაზომვის შესაფერისი ინდიკატორები, რაც იძლევა საშუალებას, შეფასდეს პროდუქტიულობა და მიღწეული შედეგის ეფექტიანობა. საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტიანად, გამჭვირვალედ ხარჯვის და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, პროექტის ბიუჯეტი და პირობები განისაზღვროს საჭიროებების და საბაზრო ფასების გათვალისწინებით, ხოლო ნებისმიერი ცვლილება განხორციელდეს მხოლოდ სათანადო დასაბუთებისა და შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე.

მიგნება 2: რიგ შემთხვევებში გრანტების გამცემი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო პირობები და დაფინანსების სქემა არ არის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული. პრეტენდენტთა შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცესში არასათანადოდ გათვალისწინებული გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპები, რამაც შესაძლოა გრანტის ხელმისაწვდომობა შეზღუდოს.

რეკომენდაცია: სახელმწიფოს მხრიდან დახმარებების გაცემის პროცესში გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების დასაცავად, საგრანტო პირობები ნათლად და ცალსახად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რათა არ იძლეოდეს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას და ყველა დაინტერესებულ კონკურსანტს ჰქონდეს თანაბარ პირობებში მონაწილეობის საშუალება.

გრანტის გაცემის ეტაპზე, გადანყვეტილების მიღების პროცესში ობიექტურობისა და ბენეფიციართა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პრეტენდენტთა შერჩევას წინასწარ მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული ისეთი კრიტერიუმებით, რომლებიც უზრუნველყოფს ობიექტური და გამჭვირვალე გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

მიგნება 3: რიგ შემთხვევებში გამოვლინდა გრანტის დაგეგმვის, ათვისებისა და მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგის პროცესის სხვადასხვა ხასიათის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რაც გაცემული გრანტების ათვისებისა და მიზნობრივად ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს და აფერხებს დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია: სახელმწიფო გრანტით მისაღწევი მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად შესრულებისთვის, მნიშვნელოვანია, ორგანიზაციებმა დაინერგონ გაცემული გრანტების ათვისებისა და მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგის გამართული სისტემა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ბენეფიციართა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების

დროული და სრულყოფილი კონტროლი, რაც გრანტის გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენების წინაპირობაა.

საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური და ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველსაყოფად, სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ უზრუნველყოს სათანადო კონტროლი, რათა ბენეფიციარებმა შესყიდვები განახორციელონ კონკურსის წესით, კონკურენტუნარიან გარემოში დადგენილი წესების შესაბამისად.

დაფინანსებული სესხებით ოპტიმალური ეფექტის მისაღწევად და საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის მიზნით, სსიპ – აწარმოე საქართველომ უზრუნველყოს სათანადო კონტროლისა და რეაგირების მექანიზმების დანერგვა, რომელიც გამოავლენს არამიზნობრივად ათვისებულ სასესხო თანხებს, სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი თანხის ზრდის შემთხვევებს და შეაფასებს სესხის ათვისების შემდგომ ბენეფიციართა შედეგებს. ასევე, ზემოაღნიშნული მიზნებისათვის, მიზანშეწონილია, განისაზღვროს დაფინანსებული სესხების ათვისების გონივრული ვადები და მათი ხარჯვა განხორციელდეს სესხისთვის გამოყოფილი ცალკე ანგარიშიდან, რაც გააძლიერებს მონიტორინგის პროცესს და გააძლიერებს კონტროლის მექანიზმს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი

საქართველოში ტურიზმი ეკონომიკის პრიორიტეტული სფეროა და მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. უკანასკნელ წლებში ტურიზმის განვითარების დინამიკა არსებითად შეიცვალა. ტურიზმი დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სტაბილურ განვითარებასა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი პირობები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი, სადაც გაანალიზებულია ტურიზმის მიმართულებით არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და შეფასებულია მცირე და საშუა-



ლო ტურისტული ბიზნესის ფარგლებში გაცემული სესხების მიზნობრიობა და ეფექტიანობა.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

მიგნება 1: „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ტურისტული ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად უფუნქციო და მიტოვებულია. ობიექტს არ მიენიჭება წყალი და ელექტროენერგია. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, ვიზიტორი ვერ სარგებლობს შექმნილი ინფრასტრუქტურით, ხოლო ქონება მოუვლელობით ზიანდება და ღირებულებას კარგავს.

მიგნები: სამინისტრომ პროექტები განახორციელა ყველა გარემოებისა და ზეგავლენის შეფასების გარეშე, დაუსაბუთებლად. აღნიშნული მიუთითებს, რომ სამინისტროს არ აქვს ჩამოყალიბებული მიდგომები და კონცეფცია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია: ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით, პროექტები დაგეგმოს და განახორციელოს ყველა გარემოებისა და ზეგავლენის დეტალური ანალიზის შემდგომ, შესაბამისი სტრატეგიისა და განვითარების გეგმის მიხედვით. ასევე, პროექტის განხორციელების შემდეგ უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წესით მოწყობილი საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების მოვლა-შენახვისა და ადმინისტრირების შესაძლებლობები.

მიგნება 2: „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამაში“ გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები ბენეფიციართა შერჩევის მიმართულებით. კერძოდ, ბენეფიციართა ნაწილისთვის სესხის გაცემის მიზანი არ ყოფილა ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერა და იგი რეალურად განხორციელდა გადახდისუნარიანობის რისკის ქვეშ მყოფი მოვალეებისთვის სესხის წნეხის შესამსუბუქებლად. ასევე ბენეფიციარებს არ აქვთ ტურიზმის სექტორში საქმიანობის ვალდებულება. მნიშვნელოვანია ასევე ბენეფიციარების მხრიდან სესხის თანხების არასწორი მენეჯმენტი.

აღნიშნული გარემოებებითა და პანდემიით გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით, შესაძლოა ბენეფიციარების ნაწილი კვლავ აღმოჩნდეს რეფინანსირების განხორციელებამდე არსებულ მდგომარეობაში, ხოლო მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვამ მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღოს.


მიგნები: სათანადო კონტროლის მექანიზმების არარსებობა.

რეკომენდაცია: „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის“ საბოლოო შედეგის, ტურიზმის სექტორში სამეწარმეო აქტიურობის ზრდის მისაღწევად, სპეციალურად შექმნილმა მსესხებელთა რეესტრის შემდგენმა კომისიამ თითოეულ შემთხვევაში დეტალურად გამოიკვლიოს პრობლემის წარმოშობის მიზეზები და მხოლოდ სათანადო კრიტერიუმებისა და მიზნობრიობის დაკმაყოფილებისას გასცეს დადებითი რეკომენდაცია. ამასთანავე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშაოს ეფექტიანი მონიტორინგის სისტემა, რაც ბენეფიციართა ტურიზმის სექტორში საქმიანობის ვალდებულებას უზრუნველყოფს, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ბიუჯეტიდან განუხლები ხარჯების უკან დაბრუნება.


2.2 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის უმთავრესი ფუნქციაა საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნა. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სამსახურის ძირითადი პროდუქტია აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულებით მოტანილი სარგებელი. სამსახური ორიენტირებულია, ერთი მხრივ, შიდა პროცესების გაუმჯობესებით ხარისხიანი და ქმედითი რეკომენდაციების მომზადებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, პარლამენტთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ეფექტიანი კომუნიკაციითა და თანამშრომლობით, რეკომენდაციების დროულ შესრულებაზე.


დიაგრამა 5. 2017-2020 წლებში გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა¹⁰




დიაგრამა 6. 2017-2020 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა



დიაგრამა 7. 2020 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა¹¹



დიაგრამა 8. 2017-2019 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა




აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული არაერთი აქტივობის შედეგად, გაიზარდა გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა. სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, ბოლო 4 წლის განმავლობაში გაიცა 2,720 რეკომენდაცია, საიდანაც 31% ეკუთვნის 2020 წლის აუდიტებს. გასულ წელთან შედარებით გაიზარდა რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი და 47% შეადგინა. გარდა სრულად გათვალისწინებული რეკომენდაციებისა, ნაწილობრივ იქნა შესრულებული რეკომენდაციების 16%. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეკომენდაციების თითქმის მესამედი ახალი გაცემულია და უწყებების მიერ მათი შესრულებისთვის მოთხოვნილი ვადა ჯერ არ დასრულებულა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს ორი ტიპის რეკომენდაციას: სტანდარტულს და მნიშვნელოვანს. მნიშვნელოვანია რეკომენდაციები, რომელთა შესრულებასაც შესაძლოა დიდი ზეგავლენა ჰქონდეს საჯარო სექტორში მიმდინარე პროცესებსა და სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამ ტიპის რეკომენდაციები ეხება ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს. მათი შეუსრულებლობით სახელმწიფო ბიუჯეტმა შესაძლოა დაკარგოს მნიშვნელოვანი შემოსავლები, გაიზარდოს კორუფციისა და თაღლითობის რისკი, მოხდეს საბიუჯეტო რესურსებისა და სახელმწიფო ქონების არამიმზნობრივი განკარგვა და სხვ.


¹⁰ 2020 წლის მაჩვენებელი მოიცავს 2020 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული იმ აუდიტების რეკომენდაციებსაც, რომლებიც დამტკიცდა 2021 წლის დასაწყისში.

¹¹ მაჩვენებელი მოიცავს 2020 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული იმ აუდიტების რეკომენდაციებსაც, რომლებიც დამტკიცდა 2021 წლის დასაწყისში.

დიაგრამა 9. 2017-2020 წლებში გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა



დიაგრამა 10. 2017-2020 წლებში გაცემული სტანდარტული და მნიშვნელოვანი რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა




მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულება საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს. მათი შესრულების მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით 26%-დან 35%-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი ეფექტიანობის აუდიტისას გაიცემა, ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა კი ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება გაცემული მნიშვნელოვანი ტიპის რეკომენდაციების რაოდენობაც. ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მხოლოდ 30%-ია სრულად შესრულებული.

¹³ <https://aris.sao.ge>

შედარებით მაღალია შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების რაოდენობა და 42%-ს აღწევს. ფინანსური აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შემთხვევაში შესრულების მაჩვენებელი 59%-ს შეადგენს.

დიაგრამა 11. 2017-2020 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით



რეკომენდაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი მართვის ეფექტიანი მექანიზმის არსებობას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივად მუშაობს ამ მიმართულებით შიდა პროცესების ეფექტიანობის ამაღლებაზე. შედეგების გაუმჯობესებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების უკეთესი მონიტორინგის მიზნით, 2019 წელს სამსახურმა შექმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.¹³ სისტემას რეკომენდაციების გაცემის, შესრულებისა და მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში. შედეგად, სისტემა უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პროაქტიულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვას.

2021-2022 წლებში აუდიტის სამსახურის ერთ-ერთ ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება იქნება აღნიშნული სისტემის დანერგვა და პრაქტიკაში ამოქმედება. 2020 წელს დაიწყო სისტემის საპილოტე რეჟიმში დანერგვა იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით. ასევე, შემუშავდა სისტემის მოხმარების ინსტრუქცია როგორც აუდიტის სამსახურის, ასევე აუდიტის ობიექტის მხარისათვის.

რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფად მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში პარლამენტის ჩართულობა. პარლამენტის ინფორმირებულობის გასაზრდელად, სამსახური გეგმავს რეკომენდაციების შესრულების ანალიტიკური ანგარიშის მომზადებას, რომელიც პარლამენტს საშუალებას მისცემს მიიღოს ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების კუთხით არსებული გამოწვევებისა და სისტემური ხასიათის საკითხების შესახებ.

2.3 აუდიტის ხარისხის კონტროლი და

უზრუნველყოფა

აუდიტორული საქმიანობის მაღალი ხარისხი მიიღწევა აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფით, ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის გამართული და ძლიერი სისტემებით. აუდიტის ანგარიშების (პროექტების) ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურში შექმნილია აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მონიტორინგის სტრუქტურული ერთეული – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სახით.

აუდიტის ხარისხის მონიტორინგის მიზანია მოიპოვოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, რომ:

- სამსახურისა და მისი პერსონალის აუდიტორული საქმიანობა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს, კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს;
- სამსახურის მიერ გამოცემული აუდიტის ანგარიშები შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს.

აუდიტის სამსახურში ფუნქციონირებს საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა. აღნიშნული გულისხმობს გამოცდილი აუდიტორებისგან მიმოხილველთა ჯგუფის შექმნას, რომელიც ახორციელებს აუდიტების ხარისხის კონტროლს აუდიტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, შესრულება, ანგარიშგება). აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემის მიზანია აუდიტის ჩატარება საერთაშორისო სტანდარტებისა და სამსახურის სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნათა სრული დაცვით.

საანგარიშო პერიოდში ხარისხის კონტროლის მიმოხილვას დაექვემდებარა სამსახურის 2020 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით გათვალისწინებული ყველა ფინანსური აუდიტი და 36 შესაბამისობის აუდიტი. შესაბამისობის აუდიტების დარჩენილი ნაწილის ხარისხის შემოწმება განახორციელა უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა.

გარდა ამისა, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2020 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- განახლდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების აუდიტის მართვის სისტემის (AMS) სახელმძღვანელოები და სხვადასხვა სამუშაო დოკუმენტები;
- შემუშავდა სტანდარტული რისკებისა და პროცედურების რეესტრი ყველაზე ხშირად შესასწავლ თემებთან დაკავშირებით;
- ფინანსური აუდიტის ფარგლებში განახლდა ფინანსური ანგარიშგების მუხლებზე დაგეგმილი სტანდარტული აუდიტორული პროცედურების რეესტრი;
- შეიქმნა ეფექტიანობის აუდიტის ახალი სამუშაო დოკუმენტები.



A decorative header consisting of ten vertical bars of equal height and width, arranged in a row. The first nine bars are light gray, and the tenth bar on the right is a vibrant green.

3.

ძირითადი პერტნიორების ჩართულობა

3.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად მუშაობდა ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერების კუთხით. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაუმჯობესებული კომუნიკაცია სამსახურის მთავარ პარტნიორთან – საქართველოს პარლამენტთან. აუდიტის სამსახური თავისი აუდიტორული საქმიანობით მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარლამენტის მიერ საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობის პროცესში. საქართველოს პარლამენტი აუდიტის სამსახურის ძირითადი პარტნიორი და მისი აუდიტის ანგარიშების მთავარი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი პარლამენტსა და მის კომიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავებაა.

პარლამენტსა და აუდიტის სამსახურს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პლატფორმაა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს კონკრეტული აუდიტების შედეგებსა და რეკომენდაციებს. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე საკითხს წარადგენს აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, განხილვაში ასევე მონაწილეობს აუდიტის ობიექტის მხარეც.

2020 წელს სამუშაო ჯგუფმა განიხილა 21 აუდიტის ანგარიში: 11 – ფინანსური, 3 – შესაბამისობის და 7 ეფექტიანობის აუდიტი:

1. ჯამურად განიხილა 10 სამინისტროში ჩატარებული 2018 წლის ფინანსური აუდიტები.
2. სსიპ – ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელებული „ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტის“ 2018-2019 წლების ფინანსური აუდიტი.
3. სსიპ – საქპატენტის შესაბამისობის აუდიტი.
4. ხელშეკრულებების მართვის შესაბამისობის აუდიტი.
5. შპს „ო. ჩხოვაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაცი-

ციო კლინიკური ცენტრის“ საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

6. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის რეფორმაში მიღწეული პროგრესის ეფექტიანობის აუდიტი.
7. კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი.
8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი.
9. სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ეფექტიანობის აუდიტი.
10. სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი.
11. სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემის ეფექტიანობის აუდიტი.
12. სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი.

პარლამენტთან აქტიური თანამშრომლობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა გაუმჯობესდეს აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი. სამუშაო ჯგუფის ფორმატში მნიშვნელოვანი ანგარიშებისა და რეკომენდაციების პერიოდული განხილვა და პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების აღმოფხვრა – სამსახურის მთავარ პრიორიტეტად რჩება.

3.2 თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა მთავრობასთან. პერიოდული შეხვედრებისა და ერთობლივი ღონისძიებების ფარგლებში სამსახური ახორციელებს აუდიტის შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების განხილვასა და ერთობლივად მათი აღმოფხვრის გზების მოძიებას.



ამასთანავე, აღსანიშნავია აუდიტის სამსახურის წვლილი მუნიციპალიტეტებში შიდა აუდიტის ფუნქციების გაძლიერებისა და ეფექტიანობის ამაღლების კუთხით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგკურსები: „შიდა აუდიტი – მუნიციპალიტეტებისთვის“ და „რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი“. აღნიშნული სასწავლო კურსები 2020 წელს გაიარა 118-მა საჯარო მოხელემ. კურსების სასწავლო პროგრამები მუნიციპალიტეტებში განხორციელებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა და მათი მიზანია, მუნიციპალიტეტებში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებით საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

3.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან

აუდიტების ფარგლებში პერიოდულად ვლინდება ისეთი დარღვევები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. მსგავსი ტიპის კონკრეტული საკითხები გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს კანონმდებლობით დადგენილი შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად. შესაბამისად, აუდიტის სამსახურისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო და ეფექტიანი კომუნიკაცია, როგორც რისკის შემცველი ანგარიშების გადაგზავნის, ასევე გადაგზავნილ საკითხებზე რეაგირების სტატუსების მუდმივი მონიტორინგის კუთხით.

2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სამართალდამცავ ორგანოებში გაიგზავნა 28 აუდიტის ანგარიში ან კონკრეტული ინფორმაცია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ (იხ. დანართი N2).

3.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა


მოქალაქეთა ჩართულობა და გეგმირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სხვადასხვა მეთოდისა და ინსტრუმენტის გამოყენებით მუდმივად ცდილობს მოქალაქეთა ინფორმირებას და აუდიტის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის გაზრდას. სამსახური ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების როლის გაძლიერებას საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების პროცესში. აღნიშნულის ნათელი მაგალითია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განახლებული ოფიციალური ვებგვერდი (www.sao.ge),¹³ რომლის ახალი დიზაინი და ფუნქციონალი მომხმარებლებს მნიშვნელოვნად უადვილებს სამსახურის საქმიანობის შედეგებისა და საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციების მოძიებას/ანალიზს. ამასთანავე, ვებგვერდს დაემატა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული ფუნქციონალი (აუდიოგახმოვანება, კონტრასტის ცვლილება, ტექსტის ზომის ცვლილება).

სამსახური წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმის ფორმირებისას აქტიურად ითვალისწინებს მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვებს. კერძოდ, 2020 წელს სხვადასხვა ოფიციალური წყაროდან მიღებული 44 მომართვიდან 47% გათვალისწინებულ იქნა 2020-2021 წლების აუდიტორული საქმიანობის გეგმებში.

¹³ <https://www.sao.ge/ka/>

დიაგრამა 12. 2019-2020 წლებში მიღებული მომართვები აუდიტის ჩატარების შესახებ, კატეგორიების მიხედვით



მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით აუდიტის სამსახური იყენებს ინოვაციურ ვებპლატფორმას – ბიუჯეტის მონიტორს (www.budgetmonitor.ge).¹⁴ ბიუჯეტის მონიტორი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, მიიღოს ამომწურავი ანალიტიკური ინფორმაცია სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების, აუდიტის მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს კომუნიკაციის პლატფორმას, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ აუდიტის სამსახურს საჭარო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ და ჩაერთონ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირების პროცესში.

თანამშრომლობა მედიასთან

საჭარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების, ისევე როგორც მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა აუდიტის სამსახურის ეფექტიანი თანამშრომლობა მედიასთან. სწორედ აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ევროკავშირის

პროექტის – „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“ ფარგლებში მოწვეული უცხოელი ექსპერტების აქტიური ჩართულობით მომზადდა სამსახურის კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა და დამტკიცდა 2020 წელს. კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე.

სამსახური აგრძელებს მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას აუდიტის ანგარიშების, სამსახურის საქმიანობისა და ძირითადი პროდუქტების შესახებ. თუმცა 2020 წელს, პანდემიის შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეფერხდა დაგეგმილი მედია-სემინარების ჩატარება.

დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი ურთიერთობისთვის სამსახური აქტიურად იყენებს სხვადასხვა კომუნიკაციის არხსა და ინსტრუმენტს, ასევე მუშაობს ინტერნეტრესურსების განვითარებისა და განახლების მიმართულებით:

- ფართო საზოგადოების მიერ აუდიტის სამსახურის პროდუქტების გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის დონის ამაღლების პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს აუდიტის ანგარიშების აღქმადობის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით სამსახური განაგრძობს ეფექტიანობის აუდიტის ბლოგის (www.blog.sao.ge)¹⁵ გაუმჯობესებას, სადაც განთავსებული სტატიები შეჭამებული სახით ანვდის მკითხველს ინფორმაციას ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ;
- აუდიტის სამსახური აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს და საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, მარტივად მიიღოს უახლესი ინფორმაცია აუდიტის ანგარიშებში მოცემული ძირითადი მიგნებებისა და ვებპლატფორმა – ბიუჯეტის მონიტორზე განთავსებული მონაცემების შესახებ.


¹⁴ <https://budgetmonitor.ge/ka>

¹⁵ <https://blog.sao.ge>



სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად ახორციელებს მედიამონიტორინგს და აკვირდება მედიის სხვადასხვა არხის გამომხატველებს აუდიტის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით.

დიაგრამა 13. 2020 წელს დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ 2,556 ერთეული მედიაგამომხატველობა



აუდიტის სამსახურის მიერ მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. სამსახური მუდმივად ცდილობს განავითაროს ინოვაციური მიდგომები, რაც გააძლიერებს საზოგადოების როლს საჯარო ფინანსების მართვის პროცესში.

3.5 საერთაშორისო თანამშრომლობა

2020 წელს უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერით, წარმატებით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებმაც ხელი შეუწევს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას, აუდიტორული და არააუდიტორული საქმიანობის გაუმჯობესებას.

საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ფუნქციონირება სამსახურის ერთერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სამსახური უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების

ბის საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) აქტიური წევრია საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

საჯარო მმართველობის ეფექტიანობის გაძლიერებისა და საჯარო აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აუდიტის სამსახური განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან. 2020 წელს საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი.

ევროკავშირი (EU)

2020 წელს წარმატებით დასრულდა ევროკავშირის სამწლიანი ტექნიკური დახმარების პროექტი – „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“. პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილ იქნა სხვადასხვა მიმართულება, მათ შორის:

- განახლდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების, ასევე აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოები აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (IPSAS) გაძლიერდა სამსახურის თანამშრომელთა შესაძლებლობები;
- ხელშეწყობილ იქნა აუდიტის მართვის სისტემის (AMS) პრაქტიკაში დანერგვა და თანამშრომელთა გადამზადება;
- შემუშავებულ იქნა IT აუდიტის სახელმძღვანელოები;
- განვითარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ტრენინგის მოდულები;
- სამსახურის აუდიტორები გადამზადდნენ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მიმართულებით.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

2020 წელს წარმატებით დასრულდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების რეგიონული პროექტი – „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერება 2030 დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგისათვის“. პროექტი მიზნად ისახავდა მონაწილე ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი და უკრაინა) უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური პროექტში ჩართული იყო როგორც პროექტის მენტორი და რეგიონში წამყვანი აუდიტორული ინსტიტუტისა.

პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილ იქნა სხვადასხვა მიმართულება, მათ შორის:

- სამსახურის აუდიტორთა კომპეტენციის განვითარებისათვის განხორციელდა თემატური ტრენინგპროგრამები ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროების მიმართულებით;
- პროექტის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო პარალელური ეფექტიანობის აუდიტი – „ტუბერკულოზის პრევენცია და მკურნალობა“;
- სამსახურს ექსპერტის რანგში ეხმარებოდა სლოვენიის აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, რომლის ჩართულობით მომზადდა რამდენიმე ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში;
- აზერბაიჯანის, უკრაინისა და სომხეთის აუდიტის სამსახურების აუდიტორებმა სტაჟირება გაიარეს აუდიტის სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტში;
- პროექტის ფარგლებში აუდიტის სამსახურმა აზერბაიჯანის, ბელარუსის, სომხეთისა და უკრაინის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებისათვის ჩატარა ტრენინგები/სემინარები ეფექტიანობისა და ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიებისა და გარე საფინანსო კონტროლის სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ;
- განახლდა სამსახურის ვებპლატფორმა – ბიუჯეტის მონიტორი;
- გაძლიერდა სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

USAID-ის მხარდაჭერით სამსახურში მიმდინარეობს რამდენიმე პროექტი, რომლებიც ხელს უწყობს სამსახურის შესაძლებლობების განვითარებას როგორც ადამიანური რესურსების, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით.

2020 წელს USAID-ის ხელშეწყობით აუდიტის სამსახურმა აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურთან (GAO) თანამშრომლობით დაიწყო ახალი პროექტი – ეფექტიანობის აუდიტის მიგნებების ზეგავლენის განსაზღვრის პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით. პროექტის საწყის ეტაპზე განხორციელდა სამსახურის საჭიროებების შეფასება და ჩატარდა ეფექტიანობის აუდიტზე მომუშავე აუდიტორთა სწავლება.

კარგი მმართველობის ინიციატივის (Good Governance Initiative – GGI) პროექტის ფარგლებში 2020 წელს USAID-ის მხარდაჭერით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გრძელდება სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის (ARIS) დანერგვაში ხელშეწყობა;
- სამსახურის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გრძელდება მათი საერთაშორისო სასერტიფიკაციო ტრენინგ-კურსებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა;
- USAID-ისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის ფარგლებში აყვანილ იქნა 4 სტაჟიორი, საიდანაც ერთი დასაქმდა.

„საუდის ფონდი უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების გაუმჯობესებული შესაძლებლობები“

2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გაიმართა საუდის არაბეთის სამეფოს გენერალური აუდიტის სასამართლოს მიერ დაფუძნებული ფო-



ნდის – „საუდის ფონდი უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების გაუმჯობესებული შესაძლებლობები“ საგრანტო კონკურსში. მიღებული გრანტი, 100,000 აშშ დოლარის ოდენობით, 2021-2022 წლებში მოხმარდება სამსახურის IT ინფრასტრუქტურის გაძლიერებას.

ჩართულობა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში და პროექტებში

2020 წელს სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI-ის, EUROSAI-ისა და ASOSAI-ის 20-მდე საერთაშორისო ონლაინ შეხვედრასა და ვებინარში. სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია საჭარო აუდიტის უახლესი მიდგომების გაზიარების, პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აღსანიშნავია 2020 წელს ჩატარებული შემდეგი ღონისძიებები და სამუშაო შეხვედრები:

- პოლონეთის, უკრაინის, სერბეთისა და სხვა ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებთან ერთად სამსახური მონაწილეობდა 2 საერთაშორისო პარალელურ აუდიტში: წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენცია, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი და ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის ეფექტიანობის აუდიტი;
- სამსახური გაწევრიანდა დიდი ბრიტანეთისა და ფინეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ინიციატივით შექმნილ EUROSAI-ის სამუშაო ჯგუფში COVID-19 პანდემიის რეაგირების აუდიტთან დაკავშირებით. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ჯგუფის სამუშაო შეხვედრებში;
- INTOSAI განვითარების ინიციატივის (INTOSAI Development Initiative - IDI) ორგანიზებითა და სამსახურის მასპინძლობით, ქ. თბილისში გაიმართა IDI-ის პროგრამის – „საქმიანობის შეფასება და ანგარიშგება“ სამუშაო შეხვედრა;
- სამსახურმა, როგორც INTOSAI-ის ვალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, მონაწილეობა მიიღო სამუშაო ჯგუფის წლიურ ონლაინ შეხვედრაში თემაზე – „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დანერგვა: სახელმწიფო ვალის აუდიტორების როლი პანდემიის ფონზე“;
- სამსახურმა, როგორც INTOSAI-ის IT აუდიტის სამუშაო ჯგუფის წევრმა მონაწილეობა მიიღო ჯგუფის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში;
- სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI-ის დიდი მონაცემების სამუშაო ჯგუფის წლიურ ონლაინ შეხვედრაში, როგორც სამუშაო ჯგუფის წევრებმა;
- სამსახურმა, როგორც INTOSAI-ის შესაბამისობის აუდიტის ქვეკომიტეტის ჯგუფის წევრმა, მონაწილეობა მიიღო ჯგუფის წლიურ ონლაინ შეხვედრაში;
- სამსახურის წარმომადგენელმა, როგორც EUROSAI-ის კატასტროფებისა და უბედური შემთხვევებისათვის გამოყოფილი თანხების აუდიტის სამუშაო ჯგუფის წევრმა, მონაწილეობა მიიღო ჯგუფის წლიურ შეხვედრასა და სემინარში;
- სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს GIZ-ისა და INTOSAI IDI-ის მიერ ორგანიზებულ ვებინარში – „SDG აუდიტი, უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების როლი 2030 დღის წესრიგის განხორციელებაში“. შეხვედრაზე წარდგენილ იქნა საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ერთობლივად განხორციელებული – „ტუბერკულოზის პრევენცია და მკურნალობა“ პარალელური აუდიტის წინასწარი შედეგები.

A decorative header consisting of ten vertical bars of equal height. The first nine bars are light gray, and the tenth bar on the right is a solid blue color.

4.

შიდა მმართველობა
და ორგანიზაციული კულტურა

შიდა მმართველობის გამართული სისტემის არსებობას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ორგანიზაციული წარმატებისა და უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. იგი ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. შიდა კონტროლის სისტემამ უნდა უზრუნველყოს როგორც ოპერაციულ, ასევე რეპუტაციასთან დაკავშირებულ ეთიკურ რისკებს.

მმართველობის სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ორიენტირებულია საკუთარი საქმიანობის სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის მიმართულების გაუმჯობესებაზე და ამ კუთხით საჯარო სექტორში სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბებაზე. 2020 წელს სამსახურმა ჩაატარა 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნობრივი ჩარჩოს შუალედური შეფასება. შედეგებმა ნათლად აჩვენა დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზაზე სამსახურის მნიშვნელოვანი პროგრესი.

4.1 ეთიკური გარემოს გაუმჯობესება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციისთვის, მნიშვნელოვანია ეთიკური ღირებულებების განმტკიცება. შიდა მმართველობის სისტემამ უნდა უზრუნველყოს საოპერაციო და რეპუტაციული ხასიათის რისკების დროული გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო აუდიტის სამსახურში მოქმედებს აუდიტორთა ეთიკის კოდექსი. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შეიქმნა ეთიკის კომისია, რომლის მიზანია ეთიკური კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა და ეთიკის კოდექსით დეკლარირებული ღირებულებების შესაძლო დარღვევების პრევენციის/გამოვლენისა და დარღვევებზე რეაგირების სისტემის ჩამოყალიბება.

ამასთანავე, 2020 წელს დაიწყო მუშაობა ეთიკის სახელმძღვანელოზე, რომელიც თანამშრომლებს უზრუნველყოფს დეტალური ინფორმაციით ეთიკური ღირებულებებისა და სტანდარტების შესახებ კონკრეტული მაგალითების საშუალებით.

4.2 შიდა ინფორმაციული სისტემა და უსაფრთხოება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივ გაუმჯობესებასა და ინტეგრირებას აუდიტის პროცესში. თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში არსებული გამოწვევების პირობებში, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვას, ასევე მათ განკარგვას. ინფორმაციული უსაფრთხოების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა პანდემიის პირობებში, მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლით სამსახურის ელექტრონულ სერვისებზე თანამშრომელთა წვდომების უზრუნველყოფის პროცესში. აღნიშნული მიმართულებებით არსებული რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით, სამსახური ახორციელებს IT საჭიროებების პერიოდულ შეფასებებსა და IT უსაფრთხოების პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება-დანერგვას. შედეგად, სამსახურის მიზანია მაქსიმალურად დაუახლოვდეს უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს (ISO 27000).

2018 წლიდან დღემდე, სამსახურმა შეისყიდა და დანერგა უსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის არაერთი სისტემა. გარდა ამისა, სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი ახორციელებს IT გარემოს პერიოდულ შეფასებას/სკანირებას უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემებზე. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შემუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის სახელმძღვანელო;
- შემუშავდა აუდიტის მართვის სისტემის საოპერაციო სახელმძღვანელო;
- ინფორმაციული აქტივების მართვის პროცესის და, ზოგადად, სამსახურის სისტემებისა და მათში არსებული ინფორმაციის, ასევე უსაფრთხოების მართვის პროცესის ცენტრალიზებისა და ოპტიმიზაციის მიზნით, დაიგეგმა VDI (Virtual Desktop Infrastructure) ინფრასტრუქტურაზე გადამწყობა. 2020 წელს ჩატარდა ამ პროფილის სხვადასხვა პროდუქტის ტესტირება სამსახურის სისტემებში;
- წლის განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდა სამსახურის სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის სკანირება სხვადასხვა ტიპის კიბერსაფრთხოების მიმართ მოწყვლადობაზე.

IT აუდიტის მხარდაჭერითა და უსაფრთხო საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებით, აუდიტის სამსახურმა დანერგა კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურ გამოწვევებს და უზრუნველყოფს სამსახურის ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით გამართულ ფუნქციონირებას.

A decorative header consisting of ten vertical bars of equal height and width, spaced evenly across the top of the page. The first nine bars are gray, and the tenth bar on the right is red.

5.


თანამშრომელთა პროფესიული
განვითარება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციისა და დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. ადამიანური რესურსი სამსახურის ძირითადი აქტივია. სწორედ ამიტომ, სამსახურის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა და დონორებისგან მიღებული მხარდაჭერა მიმა-


რთულია ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში 2020 წელს დამტკიცდა სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განახლებული სტრატეგია, შემუშავდა საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების 2020 წლის გეგმა, შეიქმნა სამსახურის მოხელეთა პროფესიული განვითარების


გენდერული განაწილება




პროფესიული და დამხმარე შტატი




დასაქმებულთა ასაკობრივი განაწილება




სამუშაო გამოცდილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში



დასაქმებულთა განათლების სფერო



დასაქმებულთა განათლების დონე



წესი, გამოცხადდა სტაჟირების პროგრამა და შერჩეულ იქნა 19 აუდიტორ-სტაჟიორი.

2020 წელს აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 338 თანამშრომელი (პროფესიული საჯარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები). ორგანიზაციის თანამშრომელთა 75%-ს პროფესიული შტატი შეადგენს, ხოლო 25% – დამხმარე პერსონალია.


აუდიტის სამსახურში დანერგილი საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების მექანიზმის საშუალებით განისაზღვრება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებები, ასევე მათი პროფესიული კვალიფიკაციის გამოყენების პერსპექტივები და წახალისების წინაპირობები.

2020 წელს შეფასების საფუძველზე დაწინაურდა 49 თანამშრომელი. თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სამსახურმა შეიმუშავა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების 2020 წლის გეგმა, რომელიც ემსახურება თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას.

თანამშრომლების როგორც პროფესიული, ასევე სხვა უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგკურსებსა და სამუშაო შეხვედრებში. 2020 წელს სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგი გაიარა 120-ზე მეტმა თანამშრომელმა. აღნიშნული სასწავლო კურსები მოიცავდა როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები ასევე აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილობრივი და საერთაშორისო სასერტიფიკაციო პროგრამებში, როგორებიცაა, სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის საჯარო სექტორის აუდიტორთა სასერტიფიკაციო პროგრამა, ACCA, CFA, CFM, CISA და სხვ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რამდენიმე მაღალი დონის სასერტიფიკაციო და ტრენინგკურსის ჩამონათვალი, რომელთა მფლობელები არიან აუდიტის სამსახურის თანამშრომლები.

დიაგრამა 14. აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული სერტიფიკატები



აუდიტის სამსახური მუდმივად ცდილობს მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრები, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა აუდიტორულ სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში. ამ მიზნით 2020 წელს წარმატებით გაგრძელდა აუდიტის სამსახურის ინიციატივით შექმნილი სტაჟირების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების მოზიდვას, მათ პროფესიულ განვითარებასა და ამ გზით სამსახურის საქმიანობის გაძლიერებას.

სტაჟირების პროგრამა გრძელდება 6 თვიდან 12 თვემდე, რომლის განმავლობაში სტაჟიორს საშუალება აქვს მიიღოს სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და დაეფუძლოს პროფესიულ უნარებს. სტაჟირების გავლის შემდეგ დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს შესაძლებლობა ეძლევა დასაქმდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. საანგარიშო პერიოდში შერჩეული 18 აუდიტორ-სტაჟიორი დასაქმდა აუდიტის სამსახურში.

აუდიტის სამსახურისა და ზოგადად, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი,¹⁶ რომელიც ახორციელებს სასწავლო კურსებს 5 ძირითადი მიმართულებით: ტრენინგები სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის; საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა; ტრენინგები კომერციული მიმართულებით; მუნიციპალური განვითარების პროგრამა; საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამები.

2020 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა 20-მდე ტრენინგკურსი, რომელშიც სულ მონაწილეობა მიიღო 727-მა მსმენელმა. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა გაიარა 62-მა პირმა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური განვითარების პროგრამის მიმართულებით, ტრენინგკურსებში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტების 138 წარმომადგენელი.

გასულ წელს მემორანდუმი გაფორმდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, საჯარო აუდიტის ინსტიტუტსა და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს (GAU) შორის. ამჟამად საქართველოს მასშტაბით მემორანდუმი გაფორმებულია 26 უნივერსიტეტთან. ასევე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ინსტიტუტსა და სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს შორის.

¹⁶ <http://www.sai.ge/ka/>





6.

პოლიტიკური პარტიების
დეფინენსების გამჭვირვალობისა და
ენგერიშვალდებულების ხელშეწყობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, მჭიდროდ თანამშრომლობს პოლიტიკურ პარტიებთან და არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს წინ უძღოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, რომელმაც უფრო მეტად მოქნილი გახადა სამსახურის მუშაობა. კერძოდ:

- კანონის ცვლილებით განხორციელდა არაუმეტეს 100 ლარის ღირებულების ქმედების კრიმინალიზაცია და ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი, თანხის ოდენობის მიუხედავად, წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და შესაბამისად, გახდა საქართველოს პროკურატურის კომპეტენცია;
- ასევე, პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსების საკითხი სრულად გადაეცა ცესკოს და საბიუჯეტო დაფინანსების მიღების მსურველ პარტიებს აღარ აქვთ ვალდებულება წარმოადგინონ შესაბამისი მომართვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში;
- დაზუსტდა შემომწირველი იურიდიული პირის კრიტერიუმები და განისაზღვრა, რომ შემომწირველი იურიდიული პირი რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე და ასევე მისი ბენეფიციარი მესაკუთრეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაახლა პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესი. ამასთანავე, დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, რისი საშუალებითაც ოფიციალური ინფორმაციის მიღება პოლიტიკური პარტიებისა და სხვა საარჩევნო სუბიექტებისგან შესაძლებელი გახდა ელექტრონული ფორმითაც.

2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ფინანსური დეკლარაციები. ანალიზის შედეგად გამოვლინდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნების დარღვევით (ნაღდი ანგარიშსწორებით) შემოწირულობების განხორციელების

რამდენიმე ფაქტი. აღნიშნულ შემთხვევებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, რის შედეგადაც დარღვევები გამოსწორდა.

2020 წელს სამსახურმა თბილისის საქალაქო სამართალში გადააგზავნა 14 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. აქედან, 10 საქმე შეეხება საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მომხდარ შემთხვევებს, ხოლო 4 საქმე – 2019 წლის წლიურ დეკლარაციებში აღმოჩენილ ხარვეზებს (იხ. ცხრილი).

2020 წლის 8 ოქტომბერს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით, საარჩევნო თემაზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, შეიქმნა საინფორმაციო/საკონსულტაციო კომისია, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა მიმდინარე პერიოდის დეკლარაციების წარმოდგენისა და ანალიზის საკითხები, შემოსული განცხადებებისა და შემოწირულობების შესწავლის სტატუსები და სხვა საკითხები.

2020 წელს დასრულდა მუშაობა ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული, ელექტრონული სისტემის ახალი ვებპლატფორმის განახლებაზე. ვებგვერდი განახლდა როგორც ფუნქციურად, ასევე დიზაინის კუთხით. განახლების მიზანს წარმოადგენდა პლატფორმასთან მუშაობის გამარტივება გარე მომხმარებლებისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის. შემოწირულობების ძიების, პარტიების ხარჯებისა და შემოსავლების დამუშავების ბევრად მოქნილი და გამარტივებული სისტემა საშუალებას აძლევს პლატფორმასთან მომუშავე პირებს სწრაფად და მარტივად მოახდინონ საძიებო სისტემებში სასურველი პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები შედგებოდა ორი ტურისგან. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა შუალედური და არჩევნების დასრულების შემდეგ, შემაჯამებელი ანგარიშები. სამსახურის ვებგვერდზე ასევე განთავსებულია საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი პერიოდული დეკლარაციების შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია.



N	სუბიექტის დასახელება	დარღვევა	თანხა ¹⁷
1	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	საწევრო შენატანის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენლობა	შენიშვნა
2	ილია ჭავჭავაძის სამოგადოება	ნაღდი ანგარიშსწორებით თანხის გატანა	შენიშვნა
3	მოძრაობა – სამართლიანი საქართველოსთვის	ნაღდი ანგარიშსწორებით თანხის გატანა	შენიშვნა
4	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	ნაღდი ანგარიშსწორებით თანხის გატანა	2,000 ლარი
5	თეთრები	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენლობა	გაფრთხილება
6	თავისუფალი საქართველო	ნაღდი ანგარიშსწორებით თანხის გატანა	გაფრთხილება
7	შპს „თამ მენეჯმენტი“	აკრძალული შემოწირულების განხორციელება	შენიშვნა
8	ივანე ხაზარაძე	აკრძალული შემოწირულების განხორციელება	შენიშვნა
9	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	აკრძალული შემოწირულების მიღება	9,318 ლარი
10	ახალი პოლიტიკური ცენტრი - „გირჩი“	ინფორმაციის წარმოდგენლობა შემოწირულების შესახებ	2,484 ლარი
11	ზაზა ბაჩილავა	აკრძალული შემოწირულების განხორციელება	შენიშვნა
12	ჩვენი გაერთიანებული საქართველო	აკრძალული შემოწირულების მიღება	43,200 ლარი
13	ჩვენი გაერთიანებული საქართველო	ნაღდი ანგარიშსწორებით თანხის გატანა	გაფრთხილება
14	ქართული არჩევანი	აკრძალული შემოწირულების მიღება	41,400 ლარი


2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებოდა როგორც არჩევნებში ჩართულ პოლიტიკურ სუბიექტებთან, ასევე ყველა დაინტერესებულ პირთან. პანდემიიდან გამომდინარე, სამსახურმა ონლაინ რეჟიმში ჩაატარა რამდენიმე ტრენინგი პოლიტიკური პარტიების ბუღალტრებისა და ფინანსური მენეჯერებისთვის.

2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა ინფორმაცია დაახლოებით 1,700 შემომწირველი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავლების შესახებ. მოხდა ამ ინფორმაციების დამუშავება და შესაბამისი რეაგირება.

პოლიტიკური დაფინანსების მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების კუთხით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აუდიტის სამსახურის მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის გამართულ ღონისძიებებში ჩა-

რთულობას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ევროპის საბჭოსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანიზებით, გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის მიმდინარე სტატუსი და საარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური ფინანსების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების ძირითადი ასპექტები გააცნო. სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და მუდმივად მუშაობს მონიტორინგის პროცესების გაუმჯობესებაზე.

¹⁷ სასამართლო გადაწყვეტილებები.




7.

სამსახურის ფინანსები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეულმა გადასახდელებმა 13.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის 0.08%-ია. სამსახურის ძირითად ხარჯს (მთლიანი ბიუჯეტის 80%-ს) თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება-ზე¹⁸ მიმართული რესურსი შეადგენს. ასევე სამსახურის IT ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და განვითარების მიზნით, 2020 წელს გაფორმდა 11 ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 1.1 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულის შედეგად შესყიდულ იქნა როგორც კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობები, ასევე უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები.

დიაგრამა 15. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის ფინანსების სტრუქტურა



¹⁸ შრომის ანაზღაურება მოიცავს შტატით გათვალისწინებულ და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა ანაზღაურებას.



8.

მომავლის ხედვა და არსებული
გამოწვევები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ღირებულების წარმოჩენა და საქმიანობიდან მიღებული სარგებლის მუდმივი ზრდა ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანაა. სწორედ ამიტომ სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას, რათა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები დროულად და ეფექტიანად იქნეს მიღწეული.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ორგანიზაციის წინაშე არსებული შიდა და გარე გამოწვევების ანალიზს, მათთან გამკლავების საუკეთესო საშუალებების მოძიებასა და მათი განვითარების შესაძლებლობად გარდაქმნას. საჯარო სექტორში არსებული ტენდენციები და მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვანი გამოწვევაა არა მხოლოდ აუდიტის სამსახურისთვის, არამედ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვისაც, რაც კიდევ უფრო ზრდის სამსახურის როლს ამ პროცესებში.

ბიზნესპროცესის უწყვეტობა კორონავირუსით (Covid-19) გამოწვეული პანდემიის პირობებში

2020 წელს პანდემიამ შეცვალა როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენცია და ახალი გამოწვევები გააჩინა საჯარო მმართველობის სფეროში. პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური რეცესიის ფონზე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფისკალური დისციპლინის მდგრადობასა და ფისკალური პოლიტიკის პასუხების სწორად განსაზღვრას. ამ კუთხით გაზრდილია ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის როლი. არსებული შეზღუდვებისა და დისტანციური მუშაობის პირობებში, მნიშვნელოვანია სამსახურმა შეძლოს შეინარჩუნოს აქტუალობა და უწყვეტად განაგრძოს მისი საქმიანობა.

დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საგადასახადო შემოსავლების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც გამოიხატება საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებისა და საგადასახადო მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით რწმუნების გამოთქმაში. ამ მიმართულებით მთა-

ვარ გამოწვევად რჩება აუდიტის სამსახურის შემლდული მანდატი საგადასახადო შემოსავლების აუდიტის ჩატარებაზე, რაც კიდევ უფრო აქტუალური ხდება მთავრობის მიერ IPSAS-ის სტანდარტებით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების ვალდებულების გაჩენისას. მნიშვნელოვანია, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით აუდიტის სამსახურის მანდატის გაფართოება.

აუდიტორული საქმიანობა

ბიუჯეტისა და სექტორული დაფარვის გაზრდა აუდიტის სამსახურის გამოწვევად რჩება. საერთაშორისო მოთხოვნებთან (SAI-PMF, PEFA) სრულად შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სამსახურის ამოცანაა დაფარვის, სულ მცირე, 90%-იანი ნიშნულის მიღწევა. 2017-2020 წლებში სამსახურმა ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი 81%-დან 89%-მდე გაზარდა. თუმცა დაფარვის შემდგომი ზრდა დაკავშირებულია ბევრი მცირე ბიუჯეტის უწყვეტის აუდიტთან, რაც დამატებით აუდიტორულ რესურსს მოითხოვს.

აუდიტის სამსახურის მანდატი საკმაოდ ფართოა და იგი მოიცავს მხარჯავ დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საბიუჯეტო ორგანიზაციებს საქართველოს 2 ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე 63 მუნიციპალიტეტს (69 მუნიციპალიტეტს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით) და 400-მდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოს. სამსახურისთვის გამოწვევად რჩება სახელმწიფო საწარმოების დაფარვისათვის საჭირო რესურსის გამოყოფა და ამავდროულად, ნაერთი ბიუჯეტისა და სექტორული დაფარვის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება.

რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი

საჯარო მმართველობის გაუმჯობესებისა და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნისათვის სამსახური გასცემს რეკომენდაციებს. აუდიტორული საქმიანობის სარგებელი გამოიხატება შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობაში, რაც დღემდე გამოწვევად რჩება. ამ გამოწვევის საპასუხოდ სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციე-


ბის შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. სისტემის პრაქტიკაში ამოქმედება და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, პარლამენტის აღნიშნულ პროცესში ჩართვა, სისტემის წარმატებული დანერგვის საფუძველია.

შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა

სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და განკარგვას. შესაბამისად, სამსახური აგრძელებს მუშაობას ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობისა და ტექნიკური პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

ადამიანური რესურსების მართვა

სამსახურის უმთავრეს ინტელექტუალურ რესურსს პროფესიული კადრები შეადგენს. აუდიტის სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, სამსახურისათვის გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსების გადინების მაღალი მაჩვენებელი და კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით მწვავედ დგას სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრული ახალი მიმართულებების გაძლიერებისა და დაფარვის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის კუთხით.



დენერტიები

დანართი N1. 2020 წელს ჩატარებული აუდიტების სია

ფინანსური აუდიტები	
1	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
2	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
3	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფინანსური აუდიტი
4	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
5	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსური აუდიტი
6	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
7	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
8	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
9	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
11	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში
შესაბამისობის აუდიტები	
12	საჯარო სექტორში ინვენტარიზაციის პროცესის სისტემური შესაბამისობის აუდიტი
13	შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი
14	სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის და სახელმწიფო ქონების პირობების შესრულების შესაბამისობის აუდიტი
15	ა(ა)იპ – საქართველოს ჯანდაცვის ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
16	ა(ა)იპ – საქართველოს ჯიდაობის ეროვნული ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
17	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
18	სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საინვესტიციო ვალდებულებების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის შესაბამისობის აუდიტი
19	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისობის აუდიტი
20	აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის შესაბამისობის აუდიტი
21	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების შესაბამისობის აუდიტი
22	ა(ა)იპ – თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
23	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების“ პრიორიტეტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შესაბამისობის აუდიტი
24	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის „კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ პრიორიტეტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შესაბამისობის აუდიტი
25	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
26	ყვარლის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი



27	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
28	თელავის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
29	დმანისის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
30	ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
31	ხულოს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
32	შუახევის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
33	ქედის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
34	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
35	ადიგენის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
36	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
37	ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
38	ქარელის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
39	ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
40	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
41	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
42	გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
43	გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
44	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
45	მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
46	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
47	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროგრამებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
48	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებისა და დაწესებულებების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი
49	შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკის“ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი
ქვეპროგრამის აუდიტები	
50	ხე-ტყის კომერციული და სოციალური მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი
51	პროფესიული განათლების სისტემის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი
52	ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის ეფექტიანობის აუდიტი
53	ტყის ხანძრებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი
54	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტიანობის აუდიტი
55	საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი
56	სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების ეფექტიანობის აუდიტი
57	საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის აუდიტი
58	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი
59	თბილისის, ფოთის, ქუთაისისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ეფექტიანობის აუდიტი
60	აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი

დანართი N2. საქართველოს ორგანოებში 2020 წელს გადამგზავნილი ანგარიშების ჩამონათვალი

1	ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2014-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი
2	შპს „ო. ჩხოვაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრის“ 2015-2018 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
3	საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გზების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციის ეფექტიანობის აუდიტი
4	საჯარო სექტორში ხელშეკრულებების მართვის შესაბამისობის აუდიტი
5	წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენცია, მზადყოფნა) ეფექტიანობის აუდიტი
6	შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ 2015-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
7	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2017-2018 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
8	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივად მოქმედ საწარმოებში საწარმოებო კაპიტალის ფორმირებისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი
9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
10	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ავტოტრანსსერვისის“ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი
11	ქალაქ ბათუმის მერიის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის საქმიანობის 2016-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი
12	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების“ პრიორიტეტისათვის 01.01.2019-31.12.2019 პერიოდში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შესაბამისობის აუდიტი
13	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
14	მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
15	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
16	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
17	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
18	ნალკის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
19	სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
20	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
21	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი



22	მესტიის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
23	ქედის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
24	ხულოს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
25	ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
26	გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას გამოვლენილი ნაკლოვანებები
27	ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
28	მარტვილის, თეთრიწყაროს, ადიგენის, გარდაბნის, ახალციხისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტების ანგარიშებში საავტომობილო საწვავის ხარჯვის საკითხები

დანართი №3. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

05 00

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

ერთეულის საიდენტიფიკაციო ნომერი:	202051956
ერთეულის სამართლებრივი ფორმა:	მხარჯავი დაწესებულება
ერთეულის იურიდიული მისამართი:	წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N96
კონტროლირებული ერთეულების ჩამონათვალი:	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
ერთეულის საქმიანობების ჩამონათვალი:	აუდიტორული საქმიანობა; სასერთიფიკატო და სატრენინგო პროგრამები.

პერიოდი:	წლიური
საანგარიშგებო ვალუტა:	ლარი
დამრგვალების დონე:	ერთეული

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი:

Emekvabishvili@sao.ge

T: 322834101

 ე.მექვაბიშვილი

მთავარი ბუღალტერი:

lshalikashvili@sao.ge

T: 322834122

 ლ.შალიკაშვილი



თარიღი: 31.03.2021 წ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ხელმძღვანელობის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება	5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა.....	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკების აღწერა	11
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19
5. მიმდინარე ინვესტიციები და მისაღები თანხები (დებიტორები).....	20
6. მატერიალური მარაგები.....	21
7. სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები.....	23
8. ძირითადი აქტივები.....	24
9. საინვესტიციო ქონება.....	27
10. არამატერიალური აქტივები.....	29
11. კრედიტორული დავალიანება, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები.....	32
12. შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა	33
13. შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან	34
14. სხვა შემოსავლები	35
15. დარიცხული ხარჯები	36
16. სხვადასხვა ხარჯები	38
17. ორგანიზაციის აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემის შესახებ.....	38
18. თანამშრომელთა ანაზღაურება.....	39
19. პირობითი ვალდებულებები	39
20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	40
21. ფინანსური რისკის მართვა.....	41
22. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ.....	42

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობას და საქართველოს პარლამენტს

ჩვენი მოსაზრება

ჩავატარეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (შემდგომში „ორგანიზაცია“ ან „სას“) და ორგანიზაციის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ (ერთობლივად „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების, კონსოლიდირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგების და კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ - ინსტრუქციისა და 2021 წლის 4 თებერვლის N 24 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ - ინსტრუქციის (ერთობლივად „ინსტრუქცია“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში, რომლის სათაურია „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტრთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებასა და წარდგენაზე და ვალდებულია უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის მხრიდან ფუნქციონირებადობის უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხ(ებ)ი, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ერთეულის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გადაწყვეტილია ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ არსებობს სხვა ქმედების რეალური არჩევანი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ყველა არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ერთეულის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)



ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2021 წლის 17 მაისი
თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჯგუფის ხელმძღვანელობა (ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები) დარწმუნებულია, რომ წინამდებარე ანგარიშგება უტყუარად წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შესრულებას, ასევე ყველა არსებით საკითხში შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესახებ სათანადო წესების/ინსტრუქციების¹ მოთხოვნებს.

¹ დეტალურად მოცემულია ახსნა-განმარტებების ნაწილში „ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

	მუხლები	შენიშვნა	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
	აქტივები			
	მოკლევადიანი აქტივები			
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N2	250,000	-
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2ა	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2ა	60,839	134,507
004	მატერიალური მარაგები	N3	255,064	177,569
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	964,932	343,441
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		1,530,835	655,517
	გრძელვადიანი აქტივები			
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	-	-
008	ძირითადი აქტივები	N6	27,271,001	27,071,167
009	საინვესტიციო ქონება	N7	-	296,940
010	არამატერიალური აქტივები	N8	659,266	748,538
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	N9	-	-
012	ფინანსური იჯარით აქტივები	N10	-	-
013	სხვა არაფინანსური აქტივები	N11	-	-
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		27,930,267	28,116,645
015	სულ აქტივები		29,461,102	28,772,162
	ვალდებულებები			
	მოკლევადიანი ვალდებულებები			
016	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N12	-	-
017	კრედიტორული დავალიანება	N13ა	49,021	327,997
018	გადასახდელი პროცენტი	N13ა	-	-
019	მიმდინარე ანარიცხები	N13ბ	-	-
020	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13ა	-	-
021	ვალდებულებები დეპოზიტებით	N13გ	-	-
022	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	N13გ	-	-
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		49,021	327,997
	გრძელვადიანი ვალდებულებები			
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
025	გრძელვადიანი კრედიტები და სესხები	N12	-	-
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება ფინანსური იჯარით	N10, N12	-	-
027	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	N9, N12	-	-
028	გრძელვადიანი ანარიცხები	N13დ	-	-
029	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13ა	-	-
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
031	სულ ვალდებულებები		49,021	327,997
032	წმინდა აქტივები/კაპიტალი			
032	შეტანილი კაპიტალი		-	-
033	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		29,412,081	28,444,165
034	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		29,412,081	28,444,165
035	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		29,461,102	28,772,162

ხელმძღვანელობის სახელით:


ერეკლე მცხეიშვილი
გენერალური აუდიტორი

17 მაისი 2021წ. თბილისი, საქართველო


ლალი მაღივაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

მუხლები	შენიშვნა	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	სულ
შემოსავლები					
001 საგადასახადო შემოსავლები	N14 ა	-	-	-	-
002 შემოსავლები სოციალური შენატანებით		-	-	-	-
003 შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	N14 გ	-	-	-	-
004 შემოსავლები გრანტებით(*)	N14 ბ	76,001	-	76,001	(121,614)
005 შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	N14 გ	-	-	-	-
006 შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	N14 გ	13,547,159	-	13,547,159	15,925,421
007 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	N15ა	-	338,605	338,605	208,529
008 გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები	N15ბ	-	-	-	-
009 საპროცენტო შემოსავლები	N15ა	-	8,631	8,631	-
010 სხვა შემოსავლები	N16	290,488	-	290,488	5,938
011 სულ შემოსავლები		13,913,648	347,236	14,260,884	16,018,274
ხარჯები					
012 შრომის ანაზღაურების ხარჯები	N17ა	9,970,497	81,986	10,052,483	11,999,958
013 საქონელი და მომსახურება	N17ა	1,835,364	100,657	1,936,021	2,346,763
014 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები	N17ბ N17გ	364,257	399	364,656	1,305,659
015 ხარჯები შიდა ტრანსფერებით	N17ბ	-	-	-	-
016 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	N17ა	717,676	-	717,676	726,860
017 გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება	N6 N7 N8 N9 N10	-	-	-	-
018 სოციალური დახმარება	N17ა	213,377	-	213,377	252,916
019 გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი	N15ბ	-	-	-	-
020 სხვა ხარჯები	N17ა N18	8,755	-	8,755	15
021 ფინანსური ხარჯები (საპროცენტო ხარჯები)	N 17ა	-	-	-	-
022 სულ ხარჯები		13,109,926	183,042	13,292,968	16,632,171
023 პერიოდის ნამეტ (დეფიციტი)		803,722	164,194	967,916	(613,897)

(*) 004 სტრიქონში - „შემოსავლები გრანტებით“ აღირიცხება მიმდინარე პერიოდში გრანტის სახით მიღებული შემოსავლები.

გრანტის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი კონვერსიის გზით აღირიცხება იმავე წლის დაფინანსებაში (006 სტრიქონში - შემოსავლები შიდა ტრანსფერებით), რომელშიც გაიწია, რაც ზრდის ამავე პერიოდის შემოსავლებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემოსავლების გაორმაგებულად აღრიცხვის თავიდან არიდების მიზნით, საანგარიშგებო პერიოდში გრანტის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი აკლდება გრანტის სახით მიღებულ შემოსავლებს და სხვაობა (რომელიც ზოგჯერ უარყოფითი რიცხვია) შეიტანება 004 სტრიქონში - „შემოსავლები გრანტებით“.

ხელმძღვანელობის სახელით:


ერეკლე მეჩუაბიშვილი
გენერალური აუდიტორი


ლალი შალიკაშვილი
მთავარი ბუღალტერი

17 მაისი 2021წ. თბილისი, საქართველო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**კონსოლიდირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)**

საანგარიშგებო წელი

		შენიშვნა	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/(დეფიციტი)		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	
10	საწყისი ნაშთი		-	29,000,677	(556,512)	28,444,165
11	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	N1	-	-	-	-
12	არსებითი შეცდომების კორექტორები (წინა პერიოდების შეცდომები)	N1	-	-	-	-
13	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	29,000,677	(556,512)	28,444,165
14	წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება			803,722	164,194	967,916
15	დამფუძნებლების შენატანები		-	-	-	-
16	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)		-	803,722	164,194	967,916
17	დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები		-	-	-	-
18	საბოლოო ნაშთი		-	29,804,399	(392,318)	29,412,081

საანგარიშგებო წლის წინა წელი

		შენიშვნა	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/(დეფიციტი)		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	
10	საწყისი ნაშთი		-	29,741,167	(683,103)	29,058,064
11	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები		-	-	-	-
12	არსებითი შეცდომების კორექტორები (წინა პერიოდების შეცდომები)		-	-	-	-
13	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	29,741,167	(683,103)	29,058,064
14	წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება		-	(740,490)	126,591	(613,899)
15	დამფუძნებლების შენატანები		-	-	-	-
16	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)		-	(740,490)	126,591	(613,899)
17	დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები		-	-	-	-
18	საბოლოო ნაშთი		-	29,000,677	(556,512)	28,444,165

ხელმძღვანელობის სახელით:


ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

17 მაისი 2021წ. თბილისი, საქართველო


ლალი შალივაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

საანგარიშგებო წელი

	შენიშვნა	დამტკიცებული ბიუჯეტი (საწყისი)	დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო)	ბიუჯეტის შესრულება	შესრუ- ლება (%)
	შემოსულობები (შემოსული თანხები, მიღებები)	-	-	-	-
	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	-	-	-	-
10	გადასახადები	-	-	-	-
11	გრანტები	-	-	-	-
12	სხვა შემოსავლები	-	-	-	-
13	არაფინანსური აქტივების შემცირება	-	-	-	-
14	ფინანსური აქტივების შემცირება	-	-	-	-
15	ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-
16	სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (შემოსული თანხები, მიღებები)	-	-	-	-
	გაცემული თანხები (გაცემები, გადახდები, გასვლები)	-	-	-	-
17	შრომის ანაზღაურება	13,127,500	11,595,000	9 970,654	85,99%
18	საქონელი და მომსახურება	2,256,000	2,169,795	1 899,059	87,52%
19	პროცენტი	-	-	-	-
20	სუბსიდიები	-	-	-	-
21	გრანტები	5,000	5,000	4,545	90,90%
22	სოციალური დახმარება	544,500	240,715	214,325	89,04%
23	სხვა ხარჯები	387,000	304,000	289,559	95,25%
24	არაფინანსური აქტივების ზრდა	135,000	1,169,284	1 169,017	99,98%
25	ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-
26	ვალდებულებების შემცირება	-	-	-	-
27	სულ გაცემული თანხები (გაცემები, გადახდები, გასვლები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან	16,455,000	15,483,794	13,547,159	87,49%
28	სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	-	-	-	-

ხელმძღვანელობის სახელით:


ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი


ლალი შალიგაშვილი
მთავარი ბუღალტერი

17 მაისი 2021წ. თბილისი, საქართველო

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა

1918 წელს შეიქმნა სახელმწიფო კონტროლიორის ინსტიტუტი, რომელიც ფუნქციონირებდა 1921 წლის ჩათვლით, საბჭოთა ოკუპაციამდე. 1991 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, შეიქმნა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ეროვნული სისტემა და დაარსდა საქართველოს კონტროლის პალატა. 2008 წლიდან დაიწყო უწყების ინსტიტუციური გარდაქმნა, რის შედეგადაც 2012 წლის ივლისიდან ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მართვის მოდელი წარმოადგენს ვესტმინსტერულ მოდელს. სამსახურს მართავს ხელმძღვანელი - გენერალური აუდიტორი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი 5 წლის ვადით. აუდიტის სამსახური ხელს უწყობს საპარლამენტო ზედამხედველობისა და მთავრობის საქმიანობის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საჯარო ფინანსების ეფექტიან გამოყენებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAIs) მიხედვით შეიმუშავა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიები. 2018 წლიდან დაიწყო სისტემური (ჰორიზონტალური) აუდიტების ჩატარება საჯარო სექტორში არსებული სისტემური რისკების გამოვლენისათვის. აუდიტის ახალ მიმართულებად განისაზღვრა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა (მსოფლიო ბანკი - World Bank (WB)) და დონორების (United States Agency for International Development (USAID)) მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი. კერძოდ, აუდიტის სამსახურმა სრულად დააკმაყოფილა USAID-ის მოთხოვნები აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით და გახდა USAID-ის აუდიტორი ორგანიზაცია ამიერკავკასიის რეგიონში. ასევე, ევროკავშირის (EU) მომართვის საფუძველზე, სამსახური ჩაატარებს მთავრობის ანტიკორუპციული გეგმით განსაზღვრული საკითხების აუდიტებს. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან გამოცხადებული ნდობა მიუთითებს აუდიტის სამსახურის წარმატებასა და აუდიტორული საქმიანობის მაღალ ხარისხზე.

აგრეთვე სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ეფექტიანობის აუდიტების წილი მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა. შედეგად აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას. მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, უკანასკნელ პერიოდში სამსახური ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ლიდერ უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციად და პარალელურ რეჟიმში, ატარებს ერთობლივ აუდიტებს ევროკავშირის ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორებიცაა : პოლონეთი, ავსტრია, ესპანეთი, ნიდერლანდები, შვეიცარია, ესტონეთი, უნგრეთი და ა.შ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ინერგება თანამედროვე მიდგომები რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ, სამსახურმა შექმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა², რომელიც უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პრაქტიკულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის დანერგვას. სისტემაში ასახულია რეკომენდაციებთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია და ხელს უწყობს გაცემული რეკომენდაციების პრაქტიკაში დროულ დანერგვას.

² <https://aris.sao.ge>

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

პარლამენტის საზედამხედველო როლის გაძლიერებისა და აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, მნიშვნელოვნად გააქტიურდა თანამშრომლობა პარლამენტთან აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უსაფრთხო საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებით, აუდიტის სამსახურმა დაწერა კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან (აშშ, შვედეთი, გერმანია, ლატვია, პოლონეთი, ლიეტუვა, სლოვენია და სხვა), საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან განხორციელებულმა თანამშრომლობამ. დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, როგორებიცაა: EU (European Union), GIZ (Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit), WB, USAID, Twinning სხვადასხვა დროს წარმატებით განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა სამსახურის როგორც აუდიტორული, ასევე არააუდიტორული საქმიანობის მიმართულებების გაძლიერებას. საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და უკეთესი პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სამსახური უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) აქტიური წევრია. INTOSAI, EUROSAI და ASOSAI წარმოადგენენ ავტონომიურ, დამოუკიდებელ და აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონულ დონეზე.

სამსახურის განვითარების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2018-2022 წლების სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც ასახავს სამსახურის მისიას, ხედვას, ძირითად ღირებულებებს და ეყრდნობა ხუთ სტრატეგიულ მიზანს: (1) დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება (2) მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება (3) ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება (4) მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტურობის ამაღლება (5) თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რომელიც წარმოადგენს ანგარიშგების ვალუტას და ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ ტრანზაქციებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
1 დოლარი/ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

ზოგადი განმარტება

2017 წლის სექტემბრიდან დღემდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის („ორგანიზაცია“ ან „სას“) გენერალური აუდიტორი არის ერეკლე მექვაბიშვილი. გენერალური აუდიტორის მოადგილეები არიან: ეკატერინე ღაზაძე, ნოდარ ჯავახიშვილი და დავით გოგიჩაიშვილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლითა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მიხედვით:

69.1. საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

69.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

69.6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი ადგენს:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის ეფექტიანობას და ანგარიშვალდებულებას, საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, აგრეთვე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას“.

კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ ამოცანების შესასრულებლად გენერალური აუდიტორი განსაზღვრავს სამსახურის სტრუქტურას, განვითარების სტრატეგიას და ამტკიცებს წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმას.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ორგანიზაცია სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ საქმიანობაზე (ერთობლივად „ჯგუფი“).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ - ინსტრუქციისა და 2021 წლის 4 თებერვლის N 24 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ - ინსტრუქციის (ერთობლივად „ინსტრუქცია“) შესაბამისად.

შესადარისი ინფორმაცია/საანგარიშგებო წლის წინა წელი (2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი) მომზადებულია ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N 429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. წარდგენის საფუძვლის ცვლილებას არ გამოუწვევია არსებითი ცვლილებები ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში, შესაბამისად არც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების აღიარებასა და შეფასებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით შესადარისი ინფორმაციაში წარმოდგენილი მონაცემები უცვლელი დარჩებოდა მიმდინარე პერიოდში მოქმედი წარდგენის საფუძვლით (ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ - ინსტრუქცია) მომზადების შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური ანგარიშგების ახალი ფორმები, წინა (შესადარისი) პერიოდთან შედარებით, ითვალისწინებს მონაცემების უფრო მეტად აგრეგირებას ან დეზაგრეგირებას, ამის შესახებ დეტალური განმარტებები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ნაწილში (ძირითადი ფორმები, განმარტებითი შენიშვნები).

ცვლილებები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველებში

2020 წლამდე საბიუჯეტო ორგანიზაციები, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ფინანსურ ანგარიშგებებს, მათ შორის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებდნენ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N 429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. აღნიშნული ინსტრუქცია ძალდაკარგულია 2020 წლის 2 სექტემბრიდან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველებით წინა წელთან შედარებით, რიგ შემთხვევებში შეიცვალა როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაციის აგრეგირების/დეზაგრეგირების დონეები, ასევე ზოგიერთი მუხლის დასახელებაც, რამაც თავის მხრივ გავლენა იქონია ფინანსური ანგარიშგების ფორმების შინაარსსა და სტრუქტურაზე (ძირითადი ფორმები და დანართები). ქვემოთ, ახსნა-განმარტების სახით წარმოდგენილია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია თუ როგორ ტრანსფორმირდება 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების მონაცემები 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაში. (აღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენიათ შესაბამისი მუხლების აღიარებასა და შეფასებაზე).

2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ - ინსტრუქციის შესაბამისად შემდეგნაირად:					2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N 429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად შემდეგნაირად:				
ანგარიშგების ფორმა	N	მუხლის დასახელება	შენიშვნა	2019 წლის მონაცემები	N	მუხლის დასახელება	ანგარიში	2019 წლის მონაცემები	ანგარიშგების ფორმა
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება დანართი N1	008	ძირითადი აქტივები	N6	27,071,167	120	ძირითადი აქტივები	2100	14,016,177	ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი) ფორმა N1
	010	არამატერიალური აქტივები	N8	748,538	140	არაწარმოებული აქტივები	2400	13,803,528	
	003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2 ა	134,507	030	ფულადი სახსრები	1100-1200	134,507	
	004	მატერიალური მარაგები	N3	177,569	110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	84,235	
ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება					060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	93,334	წმინდა აქტივებში/კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება ფორმა N4
	010	სხვა შემოსავლები	N16	5,938	050	არასაოპერაციო შემოსავლები	8100	5,938	
	020	სხვა ხარჯები	N18	15	080	არასაოპერაციო ხარჯები	8200	15	
	014	გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები	N17ა N17გ	1,305,659	190	გრანტები	7600	1,033,450	
					210	სხვა ხარჯები	7820	272,209	ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში ფორმა N2

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადად ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებს: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“.

აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის და სახელმწიფო სექტორის საქმიანობის მარეგულირებელი და აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ორგანიზაცია არის მოქმედი და საქმიანობას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, გენერალური აუდიტორი არჩეულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის სექტემბერში, 5 წლის ვადით და სარგებლობს დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტით.

სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წელს, 2022 წლის საბიუჯეტო განაცხადი წარედგინება პარლამენტს 2021 წლის 1 მაისამდე, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ჯგუფის 2022 წლის ბიუჯეტის შემცირება 2021 წლის დამტკიცებულ ოდენობასთან შედარებით არ იგეგმება. გამომდინარე აქედან, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება მართებულია.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებას, გარდა ორგანიზაციის ადმინისტრაციული შენობებისა (თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი) და მიწისა, რომლებიც 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის მიზნებისთვის ერთჯერადად შეფასდა სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივ ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ორგანიზაცია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის პრინციპები

2020 წლის 31 დეკემბრისათვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატის და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ ანგარიშგებებს.

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შიდა ოპერაციებით წარმოშობილი ტრანზაქციები ელიმინირებულია.

მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მოკლევადიან აქტივებში აისახება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სტრატეგიული მარაგები, ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, გასაყიდად შეძენილი საქონელი და სხვ. ასევე მცირეფასიანი აქტივები - მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა - რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს (500 ლარზე ნაკლები ღირებულებისა და გამოიყენება ერთ წელზე მეტი ვადით).

მარაგები თავდაპირველი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით.

როდესაც მატერიალური მარაგები შეძენილია არაგაცვლითი ოპერაციის გზით, მათი შეფასება ხდება შეძენის თარიღისათვის არსებული სამართლიანი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მარაგები აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თუ მარაგები განკუთვნილია უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით გასანაწილებლად ან ასეთი მარაგების/საქონლის წარმოებისათვის, მარაგების ეს კლასი აისახება თვითღირებულებასა და მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებას შორის უმცირესით.

მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება არის ის ღირებულება, რომელსაც ერთეული გაიღებდა აქტივების მოსაპოვებლად ანგარიშგების თარიღისათვის.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი ოპერირების რეჟიმში შეფასებით დადგენილი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისათვის, გაყიდვის, გაცვლის და განაწილებისათვის შეფასებით დადგენილი საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულების და ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენისას, ასევე, არაგაცვლითი ოპერაციის შემთხვევაში მიღებული ისეთი მატერიალური მარაგების შეფასებისას, რომელთაც ღირებულება არ გააჩნიათ, მატერიალური მარაგების სამართლიანი ღირებულება დგინდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე.

მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მოხმარება აღირიცხება ხარჯად, როდესაც ისინი გადადიან მოხმარების ეტაპზე ჯგუფის ჩვეულებრივი ოპერაციების მიმდინარეობისას. მარაგების ღირებულება გამოითვლება ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიური იდენტიფიკაციის მეთოდით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ. სხვა შემთხვევაში გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივად. არაფინანსური (ძირითადი მატერიალური/არამატერიალური აქტივი) აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ნამეტში/დეფიციტში) გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამისი წლის ნამეტში/დეფიციტში.

ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია და შეფასებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით.

მომავალი პერიოდის დანახარჯები, ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდის ნამეტში ან დეფიციტში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი აქტივების თვითღირებულება წარმოადგენს აღიარების თარიღისთვის ფულადი სახსრებით გადასახდელი ფასის ეკვივალენტს (შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან), ან არაგაცვლითი ოპერაციისას მითითებული ძირითადი აქტივების შემთხვევაში, აღიარების თარიღისთვის დადგენილ მის სამართლიან (რეალურ) ღირებულებას. ამასთან, თუ გადახდა გადავადებულია და გადავადების პირობები სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ სხვაობა ფულადი სახსრების გადასახდელი ფასის ეკვივალენტსა და მთლიანად გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში.

ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის და მისი აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვისთვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ - ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია). ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებულია წრფივი მეთოდი, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვისათვის გამოყენებული ცვეთადი თანხა განისაზღვრება როგორც ძირითადი აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას (გარდა ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადებისა, რაც განსაზღვრულია ზემოაღნიშნულ ინსტრუქციაში). ჯგუფის ხელმძღვანელობა აფასებს ნარჩენ მოხმარების ვადებს აქტივების მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით, რადროსაც გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: აქტივების მოსალოდნელი მოხმარება, ფიზიკური მოხმარება და ცვეთა და ა.შ.

ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	100
სხვა ნაგებობები	20-26
ავტო	10-15
საოფისე ინვენტარი და ტექნიკა	2-20
კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაცია	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	8-10

თითოეული პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება ნამეტში ან დეფიციტში, თუ ის ჩართული არ არის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთადი აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები ერთეულის აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება სხვას-ების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

ძირითადი აქტივების აღიარება წყდება გაყიდვის/გადაცემის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი აქტივის ობიექტის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას ჩაირთვება ნამეტის ან დეფიციტის ნაწილში.

ცვეთადი აქტივების და აკუმულირებული (დაგროვილი) ცვეთის საწყისი ნაშთების ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახვასთან დაკავშირებით, ბუღალტრულ ჩანაწერებში საწყის ნაშთებად მითითებულია: ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო ცვეთის დაგროვება იწყება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდიდან (ინსტრუქციის მე-9 მუხლის, პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტი).

საინვესტიციო ქონება

2020 წელს ჯგუფს არ აქვს საინვესტიციო ქონება. რაც შეეხება შესადარის ინფორმაციაში (2019 წელი) წარმოდგენილ საინვესტიციო ქონების მუხლს, ის წარმოდგენილია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად:

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. ხარჯის გაწევის მომენტში არსებული საინვესტიციო ქონების კომპონენტების ჩანაცვლების ხარჯი საბალანსო ღირებულებაში შედის იმ შემთხვევაში, თუ კმაყოფილდება აღიარების კრიტერიუმები. საბალანსო ღირებულებაში არ შედის საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მოვლა-პატრონობის ხარჯები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი რეალიზაციისას ან თუ მათი გამოყენება საბოლოოდ წყდება და რეალიზაციიდან/გადაცემიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ ივარაუდება. სხვაობა წმინდა სარეალიზაციო შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებასა ან ზარალში აღიარების შეწყვეტის პერიოდში.

საინვესტიციო ქონებიდან სხვა აქტივად კლასიფიკაცია ან სხვა აქტივის ტიპიდან საინვესტიციო ქონებაში გადმოტანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას მის გამოყენებაში.

საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, 100 წლიანი გამოყენების ვადით, მსგავსად იმ შენობისა რომლის ნაწილსაც წარმოადგენს საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონებიდან გამომდინარე შემოსავალი მიიმართება ხაზინაში და არ აღიარდება ორგანიზაციის ფინანსურ შედეგში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის და მისი აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვისთვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ - ინსტრუქცია.

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში. არაგაცვლითი ოპერაციებით არამატერიალური აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, არამატერიალური აქტივები ფასდება გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება. ყველა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება ადასტურებს თუ არა მოვლენები და პირობები, რომ მოცემულ აქტივს კვლავ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია. თუკი ასეთი რამ არ დასტურდება, აქტივის განუსაზღვრელი მომსახურების ვადის შეცვლა განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით ერთეულის აღრიცხვაანგარიშგებაში აისახება სსბასების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია დაერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად, თუ სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შესაძლებელია. თუ ახალ ამორტიზირებად აქტივთან დაკავშირებით ერთეულს არ შეუძლია სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა, ასეთი აქტივებისათვის სასარგებლო მომსახურების ვადად განისაზღვრება 10 წელი. ექსპლუატაციაში მყოფი ამორტიზირებადი აქტივების მიღების შემთხვევაში, თუ ერთეულს არ შეუძლია სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა, სასარგებლო მომსახურების ვადად შეიძლება განისაზღვროს 10 წელზე ნაკლები.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვისათვის გამოყენებული ამორტიზირებადი თანხა განისაზღვრება როგორც არამატერიალური აქტივის თვითღირებულებას ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ სხვა თანხას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

ამორტიზირებადი აქტივების და აკუმულირებული (დაგროვილი) ამორტიზაციის საწყისი ნაშთების ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახვასთან დაკავშირებით, ბუღალტრულ ჩანაწერებში საწყის ნაშთებად მითითებულია: არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო ამორტიზაციის დაგროვება იწყება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდიდან (ინსტრუქციის მე-9 მუხლის, პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტი).

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება შეძენას ან ფინანსური აქტივისა და ვალდებულებების (არ გულისხმობს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით აღიარებას მოგებაზარალში) გამოშვებას, შესაბამისად ამცირებს ან ზრდის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალურ ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივები

ორგანიზაციის ძირითად ფინანსური აქტივებს წარმოადგენს ფულადი სახსრები, სხვა მოთხოვნები და სხვა ფინანსური აქტივები.

ფულადი სახსრები მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები მოიცავს: 1. ფულად სახსრებს სალაროში, 2. მიმდინარე ანგარიშებს ბანკში და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს.

ფულადი სახსრები სალაროში მოიცავს: ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტა შიდა ნაღდ ფულს უცხოურ ვალუტაში.

მიმდინარე ანგარიში ბანკში მოიცავს: ხაზინის ერთიან ანგარიშს ეროვნულ ბანკში, ხაზინის სავალუტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში, ხაზინის ანგარიშებს კომერციულ ბანკებში და საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშებს კომერციულ ბანკებში.

ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში მოიცავს: სახელმწიფო ბიუჯეტის ფულად სახსრებს, დეპოზიტებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში, დეპოზიტებს ხაზინაში უცხოურ ვალუტაში და სხვა ანგარიშებს ხაზინაში.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშები კომერციულ ბანკებში მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში; საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში და საბიუჯეტო ორგანიზაციის სხვა ანგარიშს კომერციულ ბანკში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა ამოიწურება ან გაუქმდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სხვა კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები გათავისუფლებულია, გააუქმებულია, ან იწურება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ საფასურს შორის აღიარდება შემოსავალში/ხარჯში.

წმინდა აქტივები/კაპიტალი

წმინდა აქტივები/კაპიტალი მოიცავს: კაპიტალში შენატანის, გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის, პერიოდის ნამეტის/დეფიციტის თანხების ანგარიშებს.

კაპიტალში შენატანი მოიცავს კაპიტალად კლასიფიცირებულ არაფინანსურ აქტივებს და კაპიტალად კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივებს.

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი მოიცავს გაუნაწილებელ ნამეტს/დეფიციტს საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის და გაუნაწილებელ ნამეტს/დეფიციტს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი მოიცავს პერიოდის ნამეტს/დეფიციტს საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის და საანგარიშგებო პერიოდის ნამეტს/დეფიციტს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

ბიუჯეტიდან დაფინანსება

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ანგარიშზე აღირიცხება ჯგუფის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები (საბიუჯეტო სახსრები, კრედიტები და გრანტები). საბიუჯეტო დაფინანსების ანგარიშები გადაიხურება გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ასიგნებების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯების შესაბამისი მოცულობით. ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში მიღებული დაფინანსება ორგანიზაციების მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით. მესამე პირის მიერ განხორციელებული გადახდები, ორგანიზაციის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებში და ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება

თანამდებობრივი სარგო, ანაზღაურებადი შვებულება, წოდებრივი დანამატი, სახელფასო დანამატი, ფულადი ჯილდო და სოციალური ანაზღაურება (საავადმყოფო ფურცელი) ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ.

თანამშრომელთა მოკლევადიან ბენეფიტებთან დაკავშირებით აღიარებული ვალდებულებები აისახება შესაბამისი მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი ბენეფიტების არადისკონტირებული ოდენობით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

სავალუტო ოპერაციები

სავალუტო ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ტრანზაქციის დღეს მოქმედი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო კრედიტორები ან დებიტორები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღში აისახება ამ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით. საკრედიტო დავალიანების დაფარვით ან პერიოდის განმავლობაში თავდაპირველად ასახულისგან განსხვავებული კურსით აღრიცხვით წარმოშობილი სხვაობები შემოსავალში ან ხარჯში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში.

შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

შემოსავლის შეფასება ხდება მისაღები ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის სამართლიანი ღირებულებით, რომელიც არ შეიცავს შეღავათებს, ფასდაკლებებსა და დამატებითი ღირებულების გადასახადს. მომსახურებიდან შემოსავალი აღიარდება ეტაპობრივად, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა მოხდა მომსახურების მიწოდება. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. შემოსავლის თანხის ოდენობა მისაღები ფულადი სახსრების ტოლია. იმ შემთხვევაში, როცა ფულის შემოსვლა ერთეულში ყოვნდება, ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით მისაღები თანხების დისკონტირება არ ხდება.

მიზნობრივი გრანტები

მიზნობრივი გრანტები, მიღებული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მიღებისთანავე აღიარდება როგორც შემოსავლები გრანტებით. ამ გრანტის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი ამცირებს შესაბამის პერიოდში გრანტის თანხას.

კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს, რომელთა გამოყენება მართებულად მიიჩნევა. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირებას ეფექტი აქვს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკებში გამოყენებული კრიტიკული შეფასებები და გაურკვევლობის შეფასების ძირითადი წყაროები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტების მომცველ განმარტებებში, რომლებთანაც ისინი არის დაკავშირებული.

ორგანიზაციას აქვს რეგიონული ოფისი ქ. ქუთაისში, რომლის გახსნის დროსაც სასის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო პოტენციური ობიექტების სიდიდე, თანამშრომელთა რაოდენობა და გეოგრაფიული სიახლოვე. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის აღნიშნული ოფისის დაახლოებით 62%-ია დატვირთული (აქტიურ გამოყენებაში), ითვლება, რომ აქტივი შესაბამისობაშია ორგანიზაციის მიმდინარე მოთხოვნებთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

და სამომავლო, სტრატეგიულ გეგმებთან, შესაბამისად ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ადგილი არ აქვს აქტივის მიერ მიწოდებული მომსახურების მოთხოვნის ან საჭიროების მნიშვნელოვან, გრძელვადიან ვარდნას და მითუმეტეს აქტივის მიერ მიწოდებული მომსახურების მოთხოვნის ან საჭიროების სრულ ან თითქმის სრულ შეწყვეტას, რაც შესაძლოა აღნიშნული აქტივის გაუფასურების ერთ-ერთი ინდიკატორი გამხდარიყო.

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

(შენიშვნა N2)

1) სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტს კომერციულ ბანკში გააჩნია თანხები მიმდინარე ანგარიშზე, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

სტრიქონის კოდი		საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
020	ნაშთები ეროვნულ ვალუტაში, ბანკნოტები და მონეტები	-	-
030	ხაზინის ერთიანი ანგარიში, მათ შორის	-	-
040	სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები	-	-
050	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სახსრები	-	-
060	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპები და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები	-	-
070	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სსიპები და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები	-	-
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	-	-
090	ბანკნოტები და მონეტები ლარში	-	-
100	სხვა ანგარიშები ხაზინაში	-	-
110	საღარიბოში და კომერციულ ბანკებში გახსნილი ანგარიშები*	250,000	-
120	საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში, ბანკნოტები და მონეტები, მათ შორის	-	-
130	ხაზინის სავალუტო ანგარიში	-	-
140	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	-	-
150	უცხოურ ვალუტაში სხვა საბანკო ანგარიშები	-	-
160	ბანკნოტები და მონეტები უცხოურ ვალუტაში	-	-
170	3 თვემდე ვადიანი დეპოზიტები ლარში	-	-
180	სახელმწიფო ხაზინის მიერ დეპოზიტებზე (ანაბრებზე) განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
190	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
200	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპებისა და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების მიერ განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
210	სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	250,000	-

*ანგარიშგებაში ფულად სახსრებად ასახული თანხები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

5. მიმდინარე ინვესტიციები და მისაღები თანხები (დებიტორები)

ა) მიმდინარე ინვესტიციები ორგანიზაციას არ აქვს.

ბ) სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები შეადგენს: აუდიტის სამსახურის მიზნობრივი გრანტის ნაშთს და მიმდინარე დებიტორულ დავალიანებებს, რომელიც ინსტიტუტს წარმოეშვა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ტრენინგ კურსებიდან მიღებული ავანსები) და გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებულ ზედმეტობას.

სტრიქონის კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი		
		მთლიანი ნაშთი	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება	მთლიანი ნაშთი	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება
010	მიმდინარე დებიტორული დავალიანება (დებიტორები)	60,839	-	60,839	134,507	-	134,507
020	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	57,538	-	57,538	134,350	-	134,350
030	გადასახადებიდან მისაღები თანხები	3,301	-	3,301	157	-	157
040	საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-
050	მოგების გადასახადი	-	-	-	-	-	-
060	ქონების გადასახადი	1,330	-	1,330	157	-	157
070	დღგ	1,971	-	1,971	-	-	-
080	სააქციო გადასახადი	-	-	-	-	-	-
090	იმპორტის გადასახადი	-	-	-	-	-	-
100	სხვა გადასახადები	-	-	-	-	-	-
110	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში	-	-	-	-	-	-
120	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით	-	-	-	-	-	-
130	მისაღები დივიდენდები	-	-	-	-	-	-
140	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-
150	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-	-	-	-	-
160	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (გაყიდვით)	-	-	-	-	-	-
170	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები	-	-	-	-	-	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

6. მატერიალური მარაგები

შენიშვნა N3

სტრიქონის კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი		
		თვითღირებულება	აკუმულირებული ღირებულების შემცირება	საბალანსო ღირებულება	თვითღირებულება	აკუმულირებული ღირებულების შემცირება	საბალანსო ღირებულება
010	მატერიალური მარაგები	70,437	-	70,437	84,235	-	84,235
020	ნედლეული და მასალები	-	-	-	-	-	-
030	სხვა მასალები და მარაგები	-	-	-	-	-	-
